რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 4 ნოემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორმაგი ფასი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, почтов. ящ. 188. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 188 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 188

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო და მოქალაქენო!

კვირას, 5 ნოემბერს, დანიშნულია სურამის საქალაქო არჩევნები.

ხმა მიეცით რუს. ს.-დ. მ. პარ. სახმოსნო კანდიდატთა

სიას №1

1) ბადირბეგაშვილი, შ. ლ.—იურისტი, სურამის კომისარი, აღმ. და სოც.-დემ. კომ. წევრი, კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე.
2) მამალაძე, ს. ბ.—პროვიზორი, აღმ. კომ. თავმჯდომარე. ს.-დ. კომ. თავმჯდომარის ამხ., კოოპერატივის სარევიზიო კომისიის წევრი.
3) ტოროშელიძე, ს. გ.—იურისტი, ჟურნალისტი, აღმ. კომ. მდივანი, კოოპ. სარ. კომ. წევრი.
4) წოწონავა, კ. სტ.,—მასწავლებელი, ს.-დ. კომ. თავმჯ. აღმ. კომ. თავმჯ. ამხ. სასურს. კომ. წევრი, შეერთ. მ. ს. და გლ. საბჭ. მდივანი.
5) დავითიანცი, ო. ა.—მასწავლებელი, აღმ. კომ. წევრი, ს.-დ. კომ. და კოოპ. გამგ. მდივანი.
6) მეტრეველი, გ. ა.—რკ. გზ. მოს., ს.-დ. კომ. და კოოპ. გამგ. წევრი.
7) მგელაძე, ა. მ.—რკ. გზ. მოს., პარტ. და აღმ. კომ. და კოოპ. გამგ. წევრი.
8) მეიერი, ა. ა.—კოოპერატორი.
9) მეხსი, ი. ს.—ფოსტა ტელ. კანტ. უფროსი. აღმ. კომ. და კოოპ. გამგ. წევრი.
10) ბებიაშვილი, გ. დ.—რკ.-გზ. მოს., მუშ. სექც. და ხაშ. რკ.-გზ. კომ. წევრი, ტელ. ნაწ. დელეგ. და თავმჯდომარე.
11) ჯღამაძე, ნ. დ.—პარ. ორგ. მოლ. და აღმასრ. კომ. წევრი.
12) საყვარელიძისა, ე. ლ.—მასწავლებელი და აღმ. კომ. წევრი.
13) ზუბალაძე, ანდრია—მეურნე.
14) კობალაძე, ა. გ.—მუშა.
15) ჯანაშვილი, დავით—აღმ. კომ. წევრი.
16) ჯიხაძე, ზ. პ.—მუშა, გლ. საბჭოს წევრი.
17) ბრაილოვსკი, ს.—თავმჯ. ს. აღმ. კომიტეტისა.
18) ძაგნიძე, შ. კ.—რკინის გზის მოსამსახურე.
19) ალელიშვილი, ი. აღმ. კომიტეტის წევრი.
20) დვალი, სოც. დემოკრ. და პარტ. კომ. წევრი.

სია №1

ბორჯომის თვითმართველობის სახმოსნო კანდიდატების სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა:

1) აბალაძე მიხეილ მეხარიონის ძე. აგრონომი. ამნისტიით განთავისუფლებული კატორღელი, ბორჯომის მაზრის კომისარი.
2) კილაძე გიორგი დავითის ძე. ფარმაცევტი, რ. ს.-დ. მუშათა პარტიის რაიონულ ორგანიზაციის და მუშათა საბჭოს თავმჯდომარე.
3) ნასიძე ნიკოლოზ ლევანის ძე. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს თავმჯდომარე.
4) დგებუაძე ნოე გრიგოლის ძე. მასწავლებელი, რ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის მდივანი და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე.
5) ტყემალაძე აკაკი მინას ძე. იურისტი, რაიონის კომისარი.
6) თანიაშვილი მიხეილ პეტრეს ძე. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და აღმასრ. კომიტ. წევრი.
7) ქავთარაძე ვლადიმერ ივანეს ძე. ფარმაცევტი, სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე.
8) შანშიაშვილი ნიკოლოზ თავდგირის ძე. მუშათა და გლეხთა საბჭოს თავმჯდომარე.
9) კაპანაძე ხარიტონ ექვთიმეს ძე. მასწავლებელი.
10) ხმალაძე ივანე მიხეილის ძე მასწავლებელი.
11) ხუციშვილი პლატონ ხარიტონის ძე. მასწავლებელი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მდივანი და აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
12) პაპუნოვი ნიკოლოზ დიმიტრის ძე. ზეინკალი, მუშათა საბჭოს მდივანი.
13) პატრიკეევი ივანე ხარლამპის ძე. ექიმი აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
14) შენგელია ექვთიმე ალექსის ძე. მასწავლებელი-ტექნიკი.
15) ხუციშვილი დავით ალექსის ძე. მუშა.
16) ხუციშვილი მიხეილ სპირიდონის ძე. მუშა, რაიონულ აღმასრ. კომიტეტის წევრი.
17) არეშიძე დავით ექვთიმეს ძე. მასწავლებელი.
18) ბერიძე ვლადიმერ ონისიმეს ძე. რკინის გზაზე მოსამსახურეთა აღმ. კომ. თავმჯდომარე.
19) ლომიძე ფილიპე ილიას ძე. რკინის გზაზე მოსამსახურე. [illegible]
20) კანდაურიშვილი ივანე ზაქარიას ძე. მუშა, მუშათა საბჭოს წევრი.

კანდიდატები:

21) კორთოზენკო პანტელეიმონ იაკობის ძე. მუშა, მუშათა საბჭოს წევრი.
22) გახოკიძე სერგო პავლეს ძე. მუშა, მუშათა საბჭოს წევრი.
23) ქავთარაძე ვლადიმერ ლუკას ძე. მუშა, მუშათა საბჭოს წევრი.
24) ლეჟავაშვილი გიორგი დიმიტრის ძე. მუშა. რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
25. არუთინოვი სერგო ზაქარიას ძე. მუშა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! არჩევნები მოხდება 5 ნოემბერს

ხმა მიეცით № 1 სიას.

ვერის მუშათა კლუბი რ. ს.-დ. მ. პ.

კვირას 5 ნოემბერს საღამოს 7 ს. გაიმართება

ლიტერატურული საღამო

I. ამხ. შ. არსენიძე წაიკითხავს ლექციას: „მიმდინარე მომენტი“.

II. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: გ. რცხილაძე, ბ. [illegible]ლი, [illegible] მუშა და სხვ.

III. სახალხო სახლის სცენის მოყვარეები გოცირიძის მონაწილეობით წარმოადგენენ [illegible].

[illegible]

იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომელთაც „ერთობის“ გასული თვის ხელის მოწერის ფული არ გადაუხდიათ ვალდებულნი, რომ ფული დაუყოვნებლივ შემოიტანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სახელს და გვარს გაზეთში გამოვაქვეყნებთ.

პატივისცემით ს. დ. ჩიგოგიძე.

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის ორგ.

მეორე რაიონის კომიტეტი

კვირას, 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, საკრებულოს საზაფხულო ბაღში, (კორპუსი ქუჩა—სახალხო სახლის პირდაპირ) შესდგება მეორე რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

დღიური წესრიგი: მოხსენება კონფერენციის მოქმედებაზე, მიმდინარე მომენტი და სოც. დემოკრატია დამფუძნებელ კრებაზე.

კბილის საექიმო

და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა

დაარსებული

ბ. ზაიცევა-შინკარევის

მიხ., თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.

ავადმყოფებს მიიღებს განუწყვეტლივ

დღისით და ღამით.

ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ამიერ კავკასიის ოლქის ამრჩეველთ

ხმა მიეცით ზავის, მიწის და თავისუფლების სასარგებლოთ!

ხმა მიეცით რუს. ს.-დ. მ. პარტიის სიას № 1

ამხანაგებო და მოქალაქენო!

მებრძოლთა [illegible] ხნის სანუკვარი ოცნება ხორცს ისხამს, კაცობრიობის უკეთეს იდეალებისთვის წამებულთა მოლოდინი სრულდება. თქვენ უნდა აირჩიოთ თქვენი წარმომადგენლები დამფუძნებელი კრებისთვის, რომელმაც მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროს რევოლუციის შენაძენს და ხალხს ზავი, მიწა და თავისუფლება მოუპოვოს.

ვის უნდა მისცეთ თქვენი ხმა, მოქალაქენო? რომელ პარტიას აკუთვნებთ თქვენს ნდობას?

კავკასია მრავალ ერიანი ქვეყანაა. აქ მოქმედი ნაციონალისტური პარტიები—დაშნაკელები, ქართველი სოციალისტ ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები, სომეხი კადეტები და მუსულმანთა პარტია „მუსავათ“ ეროვნულ შუღლს და მტრობას სთესენ მეზობელთა შორის, ერთ ერს მეორის წინააღმდეგ ამხედრებენ.

ეს რევოლუციის დაღუპვას ნიშნავს!

მხოლოდ ერთა შეთანხმებულ მოქმედებაში, სოლიდარობაშია დემოკრატიის ძლიერება.

არც ერთი ხმა არ უნდა მისცეთ ამ ნაციონალისტურ პარტიებს.

თქვენ უნდა აირჩიოთ მხოლოდ ინტერნაციონალ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წარმომადგენლები. [illegible] იცავს მუშების, გლეხების და საერთოდ დემოკრატიის ინტერესებს, განურჩევლად სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა.

საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე გამოჩნდა ქართველ ფედერალისტთა პარტია. დღეს ის რევოლუციონერია, წარმოადგენენ, სოციალიზმის სარწმუნოებაც კი აქვთ. მაგრამ მოიგონეთ მისი მოღვაწეობა რეაქციის მძიმე ხანაში, როცა ხუნდ-გუნდებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ისინი ტალახს ესროდნენ ქართველ დემოკრატიას, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა უსწორ-მასწორო ბრძოლაში. ფედერალისტებს იგივე მოაქვთ დემოკრატიის ინტერესთა დაცვაში, მაგრამ მოიგონეთ, როგორი გახლდათ მათი ფიცხლად ქართველი დემოკრატიის ინტერესები მეოთხე სახელმწიფო დუმის არჩევნების დროს და ბრალებითა და ძალდატანებით სახელმწიფო დუმას ჩამოაშორეს [illegible]. ფედერალისტები გლეხთა ინტერესების დაცვას ჩემულობენ. მაგრამ თქვენ იცით, როცა ფედერალისტთა დეპუტატმა გ. ცულუკიძემ მოისურვა უმიწოდ გლეხები, ეს პარტია სდუმდა და მით კვერს უკრავდა ამ ბოროტ საქმეს. როცა იმავე გ. ცულუკიძემ ქართველ მემამულეთა კარნახით მოითხოვა ხიზნების გაძევების პროექტის გადადება, ფედერალისტებმა ხმა ჩაიწყვიტეს და მით კიდევ ერთხელ აჩვენეს მემამულეებს გლეხთა საწინააღმდეგოდ.

ფედერალისტები არის პატარა მეფური ინტელიგენციისა, რომელსაც ქართველ დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.

ქართველი ნაციონალ-დემოკრატები ხომ თითქმის არ ცდილობენ თავიანთ კონტრ-რევოლუციონურ მისწრაფებების [illegible] ხელს კვეთავს. არც ერთი ქართველი მუშა და გლეხი, არც ერთი დემოკრატი რესპუბლიკელი მათ ხმას არ მისცემს.

ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი იყო და არის სოციალ-დემოკრატია. მისი მეთაურობით ქართველი ერი რევოლუციისა და დემოკრატიის საერთო რაზმში შევიდა. ქართველი დემოკრატია რესპუბლიკელია და არავის [illegible] პარტიას არ მისცემს და არჩევნებში სრულ ნდობას სოციალ-დემოკრატიას გამოუცხადებს.

ხმა მიეცით სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

არჩევნებში მონაწილეობას იღებს აგრეთვე პარტია, რომელიც აშკარა კონტრ-რევოლუციონურია. ეს არის ყველაზე წინანდელი ხალხის თავისუფლების პარტია (სია № 2).

სწორედ ეს პარტია იყო მეფის იმპერიალისტური პოლიტიკის სულის ჩამდგმელი. ამ პარტიის ბელადები—მილიუკოვები და მაკლაკოვები—წევდნენ დემოკრატიას სრული უფლებისთვის საბრძოლველად, კონტრ-რევოლუციური ხალხის ხელში ჩასაგდებათ. ომში დაღუპულ მრავალ მილიონ ახალგაზრდების სისხლში მეფესთან ნიკოლოზთან ერთად ამ პარტიის ლიდერიც ამოსვრილია. ისინი კორნილოვებთან ერთად ცდილობენ რევოლუციის შემუსვრას, მის შენაძენთა დასამარხებს.

არც ერთი ხმა ამ კონტრ-რევოლუციის პარტიას!

თქვენი მოქალაქეობრივი ვალია ხმა მისცეთ ნამდვილ დემოკრატიულ და რევოლუციონურ პარტიას—სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

ხმა მიეცით სიას № 1.

ამხანაგებო! საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობას იღებს პარტია, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დროშით გამოდის, მაგრამ ფაქტიურად მან უკვე კავშირი გასწყვიტა სოციალ-დემოკრატიის საერთაშორისო ტრადიციებთან. ეს არის ფრაქცია „ბოლშევიკების“ (სია № 5).

სოციალ-დემოკრატია აკავშირებს მუშათა კლასს და ყოველგვარ იმედებს ხალხის მასაზე ამყარებს. „ბოლშევიკები“ უკვე მოსწყდნენ რევოლუციონურ დემოკრატიას და მის რაზმებში არევ-დარევას შეიქთ. „ბოლშევიკების“ უკანასკნელი გამოსვლა პეტროგრადში შეთქმულობის შემწეობით ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ ძირიანად ეწინააღმდეგება მასის რევოლუციონურ მოძრაობას და ამიტომ არ შეიძლება დამარცხებით არ დასრულდეს. ბოლშევიკები შეუნებლათ ემსახურებიან რევოლუციის დამღუპველებს, მის ძალთა გათიშვას, რისგან მას მოყვება [illegible]

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ-მენშევიკების პარტიის სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო, მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!

არჩევნებში მონაწილეობას იღებს აგრეთვე პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისა, რომლის დროშას აწერია „მიწა და თავისუფლება“, მათი სია № 3-ა.

ეს პარტია ადმინისტრაციულად შიდა რუსეთის სათემო მიწათ-მფლობელობის საფუძველზე და კავკასიის სინამდვილეში მას არავითარი ნიადაგი არა აქვს: ამიტომ იყო, რომ ის სრულიად არა სჩანდა რეაქციის დროს მთელი თორმეტი წლის განმავლობაში და მხოლოდ მარტში მოევლინა მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ და ცდილობს მთელ მშრომელ რუსეთს თავს მოახვიოს მიწათ მფლობელობის დახავსებული ფორმა; მიუწვდომელი დაპირებათა შემწეობით ის შეუნებლათ იწვევს გლეხთა მასაში უკმაყოფილებას და გულის გატეხვას რევოლუციის ძლევამოსილებაში და რევოლუციურ ძალებს ასუსტებს.

კავკასიის რევოლუციური დემოკრატიის როგორც მოძრაობის, ისე შემდეგ რეაქციის დროს სათავეში იდგა სოციალ დემოკრატიული პარტია (მენშევიკები).

სტოლიპინის რეჟიმის დროს, როცა ბევრი რევოლუციონერი პარტია მოიკეტა, შეხვდა სახელმწიფო სათათბიროს, მის კედლებში ძლიერად მოისმოდა კავკასიის სოციალ დემოკრატიის ხმა, რომელიც ხალხს მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. როცა ატყდა საერთაშორისო ომი, ომი რომელიც ყველა ქვეყნის იმპერიალისტებმა დაიწყეს, ჩვენმა ფრაქციამ ამ ბრძოლის წინამძღოლობით მტკიცედ აღიმაღლა ხმა ყველა ქვეყნის მტაცებელთა და მბრძანებელთა წინააღმდეგ და უზავოდ მოითხოვა ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. ხოლო როცა ხალხმა და ჯარმა მეფე დაამხო, ჩვენი პარტია სათავეში ჩაუდგა მთელს მოძრაობას და მოითხოვა დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევა.

სოციალ-დემოკრატია ერთად-ერთი პარტიაა, რომელიც აერთებს ყველა ერის მშრომელთ და მათ ინტერესებს ბოლომდის იცავს.

სოციალ-დემოკრატია ზღუდეა კავკასიის ერთა ძმობისა და სოლიდარობის!

ხმა მიეცით შოვინისტთა წინააღმდეგ სოლიდარობის მქადაგებელ პარტიას!

ხმა მიეცით სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო, ჯარისკაცებო, მუშებო და გლეხებო! მეოთხე წელიწადია ხალხი გმინავს იმპერიალისტების და მტაცებელთა და მემამულეთა მიერ დაწყებულ ომის უღელ ქვეშ. ქვეყნის საუკეთესო შვილები მისწყდნენ ამ ომს, მან გაანადგურა ხალხი, სამეურნეო [illegible] მცირე ერთეა, ვაჭრები, მეურნეები და მემამულენი. მრავალი მილიონი ქვრივ-ობოლი დასტოვა თავის მარჩენელით.

რუსეთის ხალხი ომის დაუყოვნებლივ დასრულებას მოელის. სწორედ სოციალ დემოკრატ-მენშევიკების ხელმძღვანელობით პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ მიმართა მთელი ქვეყნის დემოკრატიას წინადადებით, მხარი დაუჭირეთ რუსეთის რევოლუციისათვის, ჩამოაშორეთ იმპერიალისტებს და ჩამოაგდეთ ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე.

დაჰკრა უკანასკნელმა წამმა. საჭიროა მოვიკრიბოთ უკანასკნელი ძალა.

მენშევიკი სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ დამფუძნებელ კრებამ მიმართოს მეომარ სახელმწიფოებს წინადადებით დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამშვიდობო მოლაპარაკებას ზავის ჩამოსაგდებად.

დემოკრატიას არ შეუძლია უმიზნოდ სისხლი ღვაროს იმპერიალის თუ ჯარის გასახარებლათ.

ამხანაგებო და მოქალაქენო! თუ თქვენი, სურვილია ზავი ჩქარა ჩამოვარდეს, თუ თქვენ მიისწრაფით ზავისკენ ამ მოკლე გზით, ხმა მიეცით რუსეთის სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის (მენშევიკების) სიას № 1.

დემობილიზაციის დროს სოციალ-დემოკრატები იცავენ სამუშაო მიეცეს ფრონტიდან დაბრუნებულ ამხანაგებს. არც ერთი გმირი, არც ერთი მოქალაქე, რომელიც სისხლს ღვრიდა სამშობლოს საზღვრების დასაცავათ, უმუშევრათ არ უნდა დარჩეს.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ხაზინამ უზრუნველჰყოს ყველა ინვალიდი, ომში დაჩაგრულთა და დასახიჩრებულთა ოჯახები და აგრეთვე დახმარება აღმოუჩინოს ომისგან დაზარალებულ მშრომელ ხალხს.

ამხანაგებო და მოქალაქენო, გლეხებო, მუშებო, ჯარისკაცებო!

[illegible] მემამულეების ხელშია. სოციალ-დემოკრატები დამფუძნებელ კრებაზე მოითხოვენ, რათა მთელი მიწა [illegible] ჩამოერთვას მემამულეებს და მშრომელ ხალხს გადაეცეს. ყველა სახაზინო და საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო და აგრეთვე საკაბინეტო მიწები მშრომელ ხალხის ხელში უნდა გადავიდეს, ხოლო წვრილ მესაკუთრეთ მათი მიწა ხელშეუხებელი უნდა დარჩეს.

მთელი მიწა მშრომელ ხალხს! ამხანაგებო! თუ თქვენ გინდათ, რომ მიწა მშრომელებს გადაეცეს, თუ თქვენ გსურთ, რომ მიწის საკითხი გლეხების და რევოლუციის სასარგებლოდ გადაწყდეს, ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ სიას № 1.

ამხანაგებო მუშებო!

სოციალ-დემოკრატია შეგნებულ პროლეტარიატის პარტიაა, ის მრავალ წლების განმავლობაში სათავეში უდგას მუშათა მოძრაობას, სოციალ დემოკრატიის ხელმძღვანელობით ებრძვიან მუშები 8 საათის სამუშაო დღისთვის ბრძოლას, ცდილობენ შემოიღონ მუშათა დაზღვევა მუშების თვითმართველობის საფუძველზე.

სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით აღორძინდა მუშათა კლასი მტკიცე გამარჯვებას და იგივე სოციალ დემოკრატია მიუძღვის მას სოციალიზმის ბრწყინვალე სამეფოსკენ. სწორედ სოციალ-დემოკრატია იბრძოლებს თავგამოდებით დამფუძნებელ კრებაზე მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მის საბოლოო განთავისუფლებისთვის.

ხმა მიეცით მუშათა პარტიას სიას № 1!

ამხანაგებო და მოქალაქენო! სოციალ დემოკრატები მოითხოვენ დამფუძნებელ კრებაზე სრულ ხალხთა მართველობის შემოღებას მთელს რუსეთში, დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთის პალატით. ისინი იბრძოლებენ ყველა ერების თვით გამორკვევისათვის, მხარს დაუჭერენ დაჩაგრულ ერთა ყველა სამართლიან მოთხოვნებს.

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ გადასახადების მთელი სიმძიმე მდიდარ კლასებს დააკისრონ და მთელ ძალ ღონეს მშრომელთა მოსახლეობის ინტერესების განხორციელებას მოანდომებენ. ამხანაგებო! სოციალ-დემოკრატია ყველა მუშების და გლეხების [illegible], ის ექომაგება ყველა დაჩაგრულს [illegible] ერთა [illegible] და სარწმუნოებისა.

ის სათავეში იდგა და დგას რუსეთის რევოლუციის და ბოლომდე იბრძოლებს მშრომელ ხალხის განთავისუფლებისთვის.

მაშ ხმა მიეცით ნამდვილ რევოლუციონურ პარტიას, სოციალ-დემოკრატ-მენშევიკების პარტიას.

ხმა მიეცით ზავს, მიწას და თავისუფლებას.

ხმა მიეცით სიას № 1.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს რუს. ს.-დ. მუშათა პარტიას!

ამიერ-კავკასიის მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიისა.

პეტროგრადის გამოსვლა და სოციალიზმი

ბოლშევიკები დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელებას ქადაგობენ. პეტროგრადის გარნიზონის და მუშათა აჯანყების გამარჯვების პირველ დღესვე მათი მეთაური ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი და სხვა საჯაროთ აცხადებენ: დღეს ჩაეყარა საფუძველი დიდებულ სოციალისტურ რევოლუციასო.

ამნაირსავე რეზოლუციას იღებს პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭო. იგივე დრ. მთავრობის დაცემასა და ძალა უფლების სამხედრო-რევოლუციონურ კომიტეტის ხელში გადასვლას—სოციალისტურ რევოლუციის დასაბამათ თვლის.

მაგრამ შეიძლება ასეთი გადასვლა დღეს, დაუყონებლივ? ტროცკი ჯერ კიდევ 1906 წელს ამტკიცებდა, რომ ასეთი რევოლუციის მოხდენა შესაძლებელია. პარიზის კომუნის წინასიტყვაობაში ის ამტკიცებს, რომ „ჩვენ უნდა ობიექტიურ ეკონომიურ განვითარებას დავეყრდნოთ, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ არ შეწყდება მაშინაც კი, როცა პროლეტარიატი ჩადგება მთავრობაში. მაგრამ საქმე იმაშია,—და ეს მეტი მნიშვნელოვანი მხარეა საკითხისა, რომ სამეურნეო განვითარებამ უკვე დიდი ხანია გახადა სოციალიზმი ობიექტიურათ გამოსადეგ (ხაზი ჩვენია) წყობილებათ, ეკონომიურ განვითარებას საფეხურს ამ შემთხვევაში მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის ადვილებს ან აძნელებს სოციალისტურ გარდაქმნას. „რაც უფრო მაღალი ფორმა კაპიტალისტურ განვითარებისა მიეწევა პროლეტარიატს, როცა ის ძალა უფლებას აიღებს თავის ხელში, მით უფრო ადვილათ შეასრულებს იგი თავის სოციალისტურ მიზნებს, მით უფრო პირდაპირ შეუძლია მას საზოგადოებრივ მეურნეობის ორგანიზაციას შეუდგეს, მით უფრო ხან მოკლე იქნება—ceteris paribus—(თანასწორ პირობებში) პერიოდი სოციალისტური რევოლუციის“. ამ რიგათ სოციალისტური რევოლუციის მოხდენა ყოველთვის შეიძლება. რაკი ის გამოსადეგია ე. ი. სასურველია, და საქმე მხოლოდ იმაშია დიდ ხანს მოუნდებიან მის განხორციელებას თუ მცირე ხანს.

აქედან ჩანს, რომ სოციალისტური რევოლუციისთვის ობიექტიური და სუბიექტიური პირობების მომზადება საჭირო არ ყოფილა. სოციალიზმი განხორციელდება არა როგორც ისტორიული აუცილებლობა, როგორც მარქსი ამბობდა, არამედ, როგორც გამოსადეგი წყობილება. მთავარი საქმე იმაშია, რომ ეს გამოსადეგი [illegible] და რა გამოსადეგი მიჩნეული ჩვენთვის. იგი თუ გამოსადეგია მუშისთვის, არაა გამოსადეგი წვრილი მესაკუთრისთვის, რადგან მას არა აქვს ეკონომიური ხიბლი კოლექტიური წყობილების დასაფუძნებლათ.

კოლექტივიზმის გამოსადეგობის პრინციპი, ეს სუბიექტიური პრინციპია იმავე სურვილის, [illegible], რადგან გამოსადეგობა—ეს სუბიექტიური ცნებაა და გინდა ობიექტიური გამოსადეგობა დავარქვათ, ამით საქმეს არ ეშველება.

ანარქიზმის ეს თეორეტიული საფუძველი დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელებისა, ისე ჩამოშორებულია მარქსიზმს, როგორც ცა დედამიწას.

არის კიდევ მეორე საბუთი. ესაა შესაძლებლობა ევროპის რევოლუციის. ევროპაში კი შესაძლებელია დღეს მხოლოდ სოციალური რევოლუცია.

მაგრამ ასეთი რევოლუცია განა დღეს ფაქტია ევროპის სინამდვილეში?

სრულიადაც არა. თვით გატაცებული ბოლშევიკებიც კი, რომელნიც თავაწყვეტ ნაბიჯს სოციალისტურს უწოდებენ, ვერ ამბობენ ამას. იგინი მხოლოდ იმედს გამოთქვამენ, რომ ევროპის პროლეტარიატი მათ ხმას აყვება და სოციალისტურ რევოლუციას გააჩაღებს.

მაგრამ ერთი დიდი წინააღმდეგობაა, აქ დასკვნას აკეთებენ არა არსებული ფაქტიდან, არამედ მოსალოდნელიდან. მართლა ეს მოსალოდნელი შეიძლება განხორციელდეს, შეიძლება არა. ცხადია ამით თვით რუსეთის მოძრაობასაც საფუძველი ეცლება.

აბსურდია ისიც ფიქრი, რომ რუსეთი თავის ეკონომიური წყობილებით მოუმზადებელია სოციალიზმისათვის. ის თუ შეუძლია სოციალიზმზე გადასვლა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ევროპის სოციალისტური რევოლუცია მას წინ წაუძღვება.

განვითარებულ ევროპას შეუძლია უკან გაიყოლიოს განუვითარებელი რუსეთი. მაგრამ არა პირიქით. ცხადია ფაქტების და თეორიის ყირამალა დაყენება. მარქსიზმის ასეთი აბსურდი—მთავარი საფუძველია ბოლშევიკების ოცნების, მათი ანარქო-სინდიკალისტური გატაცების. მხოლოდ ანარქო-სინდიკალისტები ამტკიცებენ, რომ რაკი სოციალიზმი გამოსადეგია, იგი ყოველ მომენტში შეიძლება განხორციელდესო.

თვით რუსეთის სინამდვილე, თვით ფაქტები ბოლშევიკების გამოსვლის—საბუთია ცხადი იმისა, რომ მათ თავაწყვეტ გამარჯვებას ტყუილ უბრალოთ დაარქვეს სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი.

ნამდვილათ, რეალურათ, თვით ის პროგრამა რომელიც მათ დაისახეს, როგორც რეალური პროგრამა ახალი მთავრობის—ზავი, მიწა გლეხებს, დამფუძნებელი კრების მოწვევა და ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება სრულიადაც არ შეიცავს სოციალიზმს და არც სოციალიზმში გადამავალ ღონისძიებებს. იგინი მხოლოდ ის აუცილებელი რადიკალური ზომებია, რომელთა განუხორციელებლობით კოალიციურმა მთავრობამ საბოლოოთ დაკარგა ნდობა ფართო საზოგადოების.

ამნაირათ სოციალიზმი ამჟამათ თვით ბოლშევიკების მხრივაც უფრო სიტყვიერებაა, ვინემ რეალური მორიგი საკითხი.

მაგრამ თუ მთავრობა მათ ხელში დარჩა—თვით ცხოვრების ლოღიკა აიძულებს მათ ეს სიტყვიერება—საქმეთ აქციონ, საამისო ნაბიჯების გადადგმით კი იგინი აშკარა წინააღმდეგობაში ჩავარდებიან დღევანდელ ეკონომიური სინამდვილესთან და პარიზის კომუნის ბედს გაიზიარებენ.

ამით დაიმარხება თვით იდეა სოციალიზმის დიდი ხნით.

და აი სოციალ-დემოკრატიის, მუშათა მოწინავე რაზმის, უდიდესი მოვალეობაა ასეთ ექსპერიმენტებს ააცილოს მუშათა კლასი.

დღევანდელი გამოსვლა ბოლშევიკების ეყრდნობა უმთავრესათ ჯარს და ფლოტს, ე. ი. თავის დიდ უმეტესობაში არა პროლეტარულ, არამედ გლეხურ ელემენტებს. მათი არსებითი მოთხოვნილებები, მათი აჯანყების მთავარი მიზეზები—დემოკრატიული ხასიათისაა. და ამ მოთხოვნილებების სრულებით მისი უდიდესი ნაწილი სავსებით დაკმაყოფილდება. სოციალისტურ ექსპერიმენტებს გაჰყვება მხოლოდ ბოლშევიზმით გატაცებული ნაწილი მუშათა კლასის, რადგან სოციალიზმი მხოლოდ მუშათა კლასისთვის არის უმთავრესათ საჭირო და ასეთ უადგილო ნაბიჯით ეს უკანასკნელი გაისრისება იმავე წვრილ მესაკუთრეთა ტლანქი ქუსლებით და მის დღევანდელ მოკავშირეთა სრული გულგრილობით.

ამ განადგურების თავიდან აცილება—დღეს უმთავრესი და უდიდესი მოვალეობაა მუშათა დემოკრატიის. დაუყონებლივ შედგენა ერთგვაროვან დემოკრატიულ მთავრობის ყველა დემოკრატიული და სოციალისტური პარტიებისაგან ბოლშევიკებიანათ და მოწვევა დამფუძნებელ კრების დანიშნულ ვადაზე—აი ერთადერთი საშუალება ასეთ განსაცდელის თავიდან აშორების. და აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

მიუხედავათ სამოქალაქო ომისა დამფუძნებელი კრების არჩევნები უკვე დაიწყო: კავკასიის ფრონტზე არჩევნებს 1 ნოემბერს შეუდგენ. 12 ნოემბერს არჩევნები ამიერ-კავკასიის [illegible] სამი დღე გასტანს, ხოლო სოფლებში მთელი კვირა უნდა გაგრძელდეს. დამფუძნებელი კრების გადადება არას გზით არ შეიძლება. [illegible] ვალია საარჩევნო ბრძოლაში დაუყონებლივ მთელი თავისი ძალ-ღონით ჩაებან და სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებას ხელი შეუწყონ. არჩევნებამდე სულ რამოდენიმე დღე დარჩა, მთელი პარტია ფეხზე უნდა დადგეს დემოკრატიის საკეთილდღეოთ და რევოლუციის გასამარჯვებლათ.

ამხანაგებო და მოქალაქენო! დადგა დიადი მომენტი, როცა ხალხის დაბეჩავებას და მონობას ბოლო უნდა მოეღოს. დამფუძნებელი კრების მოწვევა დემოკრატიის გამარჯვებას მოასწავებს. განმათავისუფლებელ მოძრაობას ოცი წელზე მეტია სოციალ-დემოკრატია მიუძღვის. ამ პარტიამ აფრიალა ჩვენში დროშა ერთობისა და თანასწორობის, ამ პარტიის ხელმძღვანელობით ეკვეთა დემოკრატია მეფის მთავრობას 1905 წელს და ამ პარტიის მეთაურობით დაემხო მეფის ტახტი მიმდინარე წელს. ვისაც სურს რევოლუციის საბოლოო გამარჯვება, ხმა უნდა მისცეს სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

ამხანაგებო! სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით გლეხკაცობა აჯანყდა მემამულეთა წინააღმდეგ და ერთობის დროშა აფრიალა. სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით მოიპოვებს გლეხი მიწას და წყალს, აუქმებს მემამულეთა თარეშს და ბატონობას.

ხმა მიეცით ერთობის პარტიას, ხმა მიეცით სიას № 1.

სოციალ დემოკრატია მუშათა მოძრაობის მეთაურია. მისი გამარჯვება მუშათა გამარჯვება იქნება. ყველა მუშა, ყველა გაყვლეფილი და დამონებული ვალდებულია **ხმა მისცეს მუშათა პარტიას სიას № 1.**

დამფუძნებელი კრების არჩევა რევოლუციის გამარჯვების დასტური იქნება. ყველა მშრომელის, მუშისა, გლეხის და ჯარისკაცის ინტერესია სოციალ დემოკრატიის გამარჯვება და მით კონტრ-რევოლუციის ალაგმვა.

ჩვენ მოვუწოდებთ ამხანაგებს და მოქალაქეებს, ყოველი ძალღონით ხელი შეუწყონ ნაციონალისტური და კონტრ-რევოლუციური პარტიების დამარცხებას და დემოკრატიის დარაზმვას. ეს სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება იქნება.

ხმა მიეცით სიას № 1.

წერილები გლეხებისადმი.

II

პირველ წერილში მოვიხსენიეთ გლეხთა განთავისუფლების ამბავი და გითხარით, რომ მეფემ ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს გლეხებს ბედნიერება დაჰპირდა. ეს მეფე ალექსანდრე მეორე იყო, მას განმათავისუფლებელი უწოდეს და დიდის ამბით იხსენიებდენ.

მაგრამ ეს თვალთმაქცობა იყო და სხვა არაფერი. მართლაც როგორ მოხდა, რომ განთავისუფლებული გლეხი ბედნიერებას ვერ ეწია. აკი ჰპირდებოდა მანიფესტი „ღმერთი ახსენეთ და გამაბედნიერებელ შრომას შეუდექით“.

საქმე ის არის, რომ მდიდარი თავის სიმდიდრეს ვერ დასთმობს თავის ნებით, ბატონი თავის ბატონობაზე ხელს არ აიღებს. გლეხებს რომ სულ ჩამოეგდოთ მეფე და შეკავშირებული ძალით ემოქმედათ სულ სხვა იყო. მაგრამ მათი განთავისუფლება მოხდა თვით მთავრობის სურვილით. მთავრობა, ე. ი. მემამულეები და მათი მეთავე—მთავარი მემამულე—მეფე ხომ იმაზე არ ზრუნავდენ გლეხი გავაბედნიეროთო. გლეხის გაბედნიერება შეიძლებოდა მიწის და თავისუფლების მიცემით, მაგრამ მიწა რომ გლეხისთვის მიეცა, თითონ რითი უნდა ეცხოვრა განცხრომით? ამიტომ ვერც თავისუფლებას მისცემდა.

მაშ რისთვის გააუქმა ბატონ ყმობა? აი რისთვის. რუსეთს, როგორც ეხლა, გარს ერტყა სხვადასხვა სახელმწიფოები, იქ გავრცელებული იყო ვაჭრობა და მრეწველობა, არსებობდა მუდმივი, კარგათ შეიარაღებული ჯარი. მთავრობები დიდს გულტკივილობას არიან მიჩვეულნი. შენს გაჭირვებას ისინი არ დაგიდევენ, ოღონდ კი ფეხი წაგიკრეონ და სულს ამოგხდიან. რუსეთს ომი გამოუცხადეს. ეს იყო ყირიმის ომი და სასტიკათ დაამარცხეს რუსეთი. გეხსომებათ იაპონიამ რომ დღე დააყენა, მაზედ კიდევ უარესი უყვეს რუსეთს. იმ დროს მტარვალი მეფე ნიკოლოზ პირველი მეფობდა. ამ დამარცხების დროს დიდხანს არ უცდიდნენ. საკითხი დაისვა, რათა იშველოთ რუსეთისათვის. ცხადი იყო ჯარს ვერ შექმნიდა, თუ გლეხები, ე. ი. იგი ხალხის დიდი ნაწილი მონურ უღელს ქვეშ გმინავდა. რა უშველა? ისა, რომ გლეხი ბატონისა იყო, ბატონი კი იძულებული იყო განსაზღვრული რიცხვი თავისი გლეხებისა ომში გაეწვია. ის კი თავის მინდვრების დამუშავებაზე უფრო ზრუნავდა. აკი ჩვენებურმა თავადებმაც ჩინ-ორდენებზე გადაცვალეს საქართველო, როცა ჩვენში რუსის მბრძანებლობა შემოვიდა. არ იყო ვაჭრობის თავისუფლებაც. ერთი სიტყვით არ იყო რუსეთი, როგორც ერთი მთელი სახელმწიფო, ყველა კუთხეში საკუთარი ბატონი იყო.

რაკი საჭირო იყო ერთგვარი წესრიგის დამყარება, მეფე და მემამულენი შეთანხმდნენ, გლეხები გაათავისუფლეს, მაგრამ მებატონენი ხომ თავის თავს ვერ დაიჩაგრავდენ. ამიტომ იყო საუკეთესო მიწები და ტყე საბატონოთ [illegible], გლეხებს კი თითო ნაჭერი მოუჭრეს, ეს იყო „ნადელი“. ეს „ნადელი“ ხაზინას უნდა გამოეყიდა, გლეხს ფული წვრილ-წვრილათ ხაზინაში უნდა შეეტანა. მანამდი კი გლეხი დროებით ვალდებული დარჩა. ასე ლამაზათ გაათავისუფლეს გლეხი მიწისაგან. არსებითათ მემამულემ მოიგო. გლეხი განთავისუფლდა მიწისაგან და კერძოთ მემამულისაგან. სახელმწიფოთ გაძლიერდა ეგრეთ წოდებული ბიუროკრატია, ესე იგი სათითაოთ მემამულეს პოლიციური მოვალეობა ჩამოერთვა და ყველგან ერთგვარი მეფის დანიშნული პოლიცია გაბატონდა. ასე იყო თუ ისე, რუსეთში „დროებით ვალდებულება“ მაინც ადრე გადავარდა, ესე იგი ხაზინის დახმარებით გლეხმა მისი ნაჭერი გამოიყიდა და მესაკუთრე გახდა. რასაკვირველია, ის ნაჭერი მას არ ყოფნიდა და ამიტომ ის ისევ მემამულეს მიმართავდა ხოლმე. მაგრამ ავათ იყო თუ კარგათ, ის მესაკუთრე იყო მაინც თავის პატარა ნაჭერზე.

ჩვენში ეს მცირე ბედნიერებაც მიუწვდომელი გახდა. რუსეთის მთავრობა განაპირა ქვეყნებს განსაკუთრებით არ სწყალობდა, ამიტომ ეს დროებით ვალდებულება ჩვენში 1865 წლიდან 1912 წლამდე, ეს იგი მთელი ნახევარი საუკუნე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ეს „დროებით“ ვალდებული გლეხი ბატონს ემსახურებოდა, ღალას აძლევდა, ბეგარას უხდიდა, ნება კი ჰქონდა თავი დაეხსნა, მაგრამ მემამულე და მთავრობა ათასგვარ დაბრკოლებას იგონებდა, რომ გლეხისთვის „თავის დახსნა“ გაეძნელებინა. როგორც ვთქვით, მხოლოდ ამ სამი-ოთხი წლის წინ [illegible] ნიკოლოზ მეორის მთავრობამ მოწყალება და დროებით ვალდებულება მოსპო.

მაგრამ ბატონ-ყმობის მეორე სახე, ხიზნობა, რევოლუციამდე არსებობდა და შეიძლება ითქვას, რომ ის დღესაც არსებობს, რადგან ჯერ კიდევ „კანონიერის“ გზით [illegible] მემამულეები ხიზნებისაგან ღალას და ძღვენს. ქვემოთ, როცა ჩვენებურ ნაციონალისტურ პარტიებზე გვექნება საუბარი, მაშინ დაწვრილებით გეტყვით, თუ როგორ შეუწყვეს ხელი ჩვენმა ფედერალისტებმა და ნაციონალ-დემოკრატებმა „ხიზნობის“ შენახვას.

დღეს ჩვენ უკვე განახლებულ წყობილებაში ვცხოვრობთ, ძველი მთავრობა აღარ არსებობს. იწყება ახალი ცხოვრების შენება. მრავალი პარტიები გამოდიან თავიანთი მოთხოვნილებებით და გლეხებს ბედნიერებას პირდებიან.

გლეხისთვის სულ ერთი როდია, რომელ პარტიას გაჰყვება, ვის დაუკავშირებს თავის ბედს. ამიტომ გავსინჯოთ ყველა პარტიების მოღვაწეობა, მათი პროგრამა და დავინახავთ ვინ არის მართალი.

შუშა გლეხი.

გუშინ, 8 ნოემბერს თფილისში დეპეშები არ მოსულა არც პეტროგრადის სააგენტოს ადგილობრივ განყოფილებას, არც საარმიო ცენტრს.

პეტროგრადის ამბები

ზავის შესახებ დეკრეტი.

ერთხმად მიღებული სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მიერ ყრილობაზე, 26 ოქტომბერს.

24—25 ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც დამყარებულია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებზე, წინადადებას აძლევს ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება დემოკრატიული ზავის შესახებ.

სამართლიანი ანუ დემოკრატიული ზავი, რომელიც სწყურია ომისაგან განაწამებ ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა მუშას და მშრომელ კლასს, ზავი, რომელსაც გადაჭრით მოითხოვდენ რუსეთის მუშები და გლეხები მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ, მთავრობის აზრით არის, უანექსიო (ე. ი. ძალით სხვისი ადგილების მიუთვისებლად) და უკონტრიბუციო ზავი.

რუსეთის მთავრობა წინადადებას აძლევს ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ შეჰკრან ასეთი ზავი და სანამ საბოლოოთ შეიმუშავებენ ასეთ პირობებს, ყველა ქვეყნის და ერების წარმომადგენელთა კრებამ უნდა გადადგან გადაჭრილი ნაბიჯი.

რუსეთის მთავრობას ანექსია, ანუ სხვისი ადგილების ძალით მითვისება ესმის, როგორც სუსტი ერების, მისი სურვილის წინააღმდეგ, ძლიერ სახელმწიფოსთან შეერთება, სულ ერთია, როდის მოხდა ეს შეერთება, მიუხედავათ იმისა აგრეთვე, თუ რამდენათ განვითარებულია, ან ჩამორჩენილია ძალით შემოერთებული ერი, მიუხედავათ იმისა, კიდევ ევროპაში სცხოვრობს ეს ერი, თუ ოკეანის იქითა შორეულ ადგილებში.

თუკეთუ რომელიმე ერს ძალით იჭერენ ერთ სახელმწიფოს ფარგლებში, თუკეთუ მისი სურვილის წინააღმდეგ—სულ ერთია ეს სურვილი ბეჭდვითი სიტყვით, ხალხური კრებებით, პარტიის გადაწყვეტილებით, ან აჯანყებით იქნება გამოხატული,—ნებას არ მისცემენ თავისუფალი ხმის მიცემით, გადასჭრან ამ ერის სახელმწიფოებრივ წესწყობილების ფორმის საკითხი, ეს შემოერთება ითვლება ანექსიათ, ე. ი. ძალით შემოერთებათ.

ამ ომის გაგრძელება იმ აზრით, რომ ძლიერმა და მდიდარმა ერებმა გაიყონ თავიანთ შორის ძალით შემოერთებული ადგილები, მთავრობას მიაჩნია კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ უდიდეს ბოროტებათ. მთავრობა საჯაროთ აცხადებს, რომ ის მზათ არის დაუყოვნებლივ ხელი მოაწეროს ზავის პირობებზე, რომელიც ბოლოს მოუღებს ამ საშინელ ომს, ყველა ერისათვის სამართლიან და სასარგებლო პირობებში.

ამასთანავე მთავრობა აცხადებს, რომ მას არ სურს [illegible] შეუდგეს ზავის ამ პირობების გადასინჯვას, ის მხოლოდ დაბეჯითებით მოითხოვს, რაც შეიძლება, დაჩქარებით წარმოადგინოს რომელიმე მებრძოლმა სახელმწიფომ ასეთი პირობები, მხოლოდ იქ ყოველგვარი აშკარათ და გარკვევით უნდა იქნეს აღნიშნული და არავითარ ორჭოფობას და ბუნდოვან აზრს იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

საიდუმლო დიპლომატიას მთავრობა აუქმებს და თავის მხრით მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს ყოველივე მოლაპარაკება აშკარად აწარმოოს, გადაწყვეტილი აქვს დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ყველა საიდუმლო ხელშეკრულებები, მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობების მიერ ურთიერთ შორის დადებული 1917 წლის 25 ოქტომბრამდე. მთავრობა საბოლოოთ აუქმებს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც მიმართულია რუსეთის მემამულეთა და კაპიტალისტებისთვის სარგებლობის და უპირატესობის მინიჭებისკენ და ველიკოროსების ანექსიის გაფართოებისკენ.

მიმართავს რა წინადადებით ყველა ქვეყნის მთავრობებს და ხალხს, დაიწყონ აშკარა მოლაპარაკება ზავის შესახებ, მთავრობა თავის მხრით მზათ არის გამართოს ეს მოლაპარაკება, როგორც მიწერ-მოწერის საშუალებით, ტელეგრაფით აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებით ან ამ წარმომადგენლების კონფერენციაზე. ასეთ მოლაპარაკების გასაადვილებლად მთავრობა ნიშნავს თავის წარმომადგენლებს ნეიტრალურ ქვეყნებში.

მთავრობა წინადადებას აძლევს ყველა მებრძოლ ქვეყნების მთავრობებს და ხალხს დაუყოვნებლივ მოახდინონ დროებითი შერიგება, თავის მხრით განსაზღვრულათ სვამს საკითხს დროებითი შერიგება სამი თვით გაგრძელდეს. ეს ვადა საკმაო იქნება ომში მონაწილე ან ჩათრეულ ხალხთა წარმომადგენლების მოლაპარაკების დასამთავრებლათ და აგრეთვე ყველა ქვეყნის ხალხთა წარმომადგენლების კრების მოსაწვევათ, რომ საბოლოოთ შეიმუშაონ ზავის პირობები.

მიმართავს რა ზავის ამ წინადადებით ყველა მებრძოლ ქვეყნების მთავრობებს და ხალხს, რუსეთის დროებითი რევოლუციონური მთავრობა მიმართავს აგრეთვე განსაკუთრებით კაცობრიობის სამ მოწინავე ერთა, ამ ომში მონაწილე სამ მსხვილ სახელმწიფოს, ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის შეგნებულ მუშებს. ამ ქვეყნების მუშებმა [illegible] სამსახური [illegible] სოციალიზმის საქმეს. [illegible] მოძრაობა ინგლისში, საფრანგეთის პროლეტარიატის მიერ მოხდენილი რამოდენიმე რევოლუცია, რომელსაც საყოველთაო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, დაბოლოს, გმირული ბრძოლა გერმანიაში საგანგებო კანონების წინააღმდეგ და ყველა ქვეყნის მუშათათვის დიდი ხნის ბრძოლა გერმანიაში პროლეტარულ ორგანიზაციების შესადგენათ, ყველა ეს იმის თავდებია, რომ ამ ქვეყნის მუშები გაიგებენ ეხლა, რომ მხოლოდ მათ აწევთ ვალათ განთავისუფლონ კაცობრიობა ამ საშინელ ომისა და მის შედეგებისაგან. ეს მუშები თავიანთ გმირულ და გადაჭრილ მოქმედებით ხელს შეგვიწყობენ კეთილად დავაგვირგვინოთ ზავის და ყველა მშრომელ და გაყვლეფილ მასის მონობისა და ექსპლოატაციისგან განთავისუფლების საქმე.

საბჭოთა მეორე ყრილობა.

ყრილობას ხსნის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ფ. დანი. იგი აცხადებს, რომ დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენს ამხანაგებს საზამთრო სასახლეში ტყვიებს უშენენ, უადგილოა პოლიტიკური ხასიათის სიტყვების წარმოთქმა და წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ პირდაპირ შეუდგენ ყრილობის პრეზიდიუმის არჩევას. ოვანესოვი აცხადებს: ბოლშევიკების, სოციალისტ-რევოლუციონერების, მენშევიკების და ინტერნაციონალისტების ფრაქციათა შეთანხმებით პრეზიდიუმი არჩეულ უნდა იქნას პროპორციონალურ წარმომადგენლობის საფუძველზე და ბოლშევიკების ფრაქციის სახელით ასახელებს ლენინს, ზინოვიევს, კამენევს, ლუნაჩარსკის, კოლონტაის და სხ., სულ—14 კაცს. ს.-რ-ებს დაუთმოთ 7 ადგილი, მენშევიკებს—3, ინტერნაციონალისტებს—1. ს. რევოლუციონერების მხრით პრეზიდიუმში შევიდნენ კამკოვი, სპირიდონოვას ქალი, კახოვსკისა, მსტისლავსკი, კორელინი და ზაკსი. ს.-რევოლუციონერების მარჯვენა ფრთამ და მენშევიკებმა განაცხადეს, რომ ისინი თავის კანდიდატებს არ წამოაყენებენ. ინტერნაციონალისტებმა დროებით შეიკავეს თავი კანდიდატის დასახელებაზე. პრეზიდიუმის წევრთა სია ყრილობამ დაამტკიცა. კამენევი აქვეყნებს ყრილობის დღის წესრიგს: 1) მთავრობის შედგენის საკითხი; 2) ომი და ზავი; 3) დამფუძნებელი კრება. შემდეგ წინადადება, სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდნენ მოესმინათ პეტროგრადის მუშ. და ჯ. დეპ. საბჭოს და მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები. მარტოვი ინტერნაციონალისტებისა და ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით მოითხოვს დღის წესრიგში პირველ რიგში დასვან საკითხი შექმნილი კრიზისის მშვიდობიანი გზით დასრულების შესახებ. იგი აცხადებს, რომ მენშევიკ ინტერნაციონალისტების ფრაქციას შესაძლებლათ არ მიაჩნია თავის თავზე აიღოს ბოლშევიკების მიერ მოწყობილ ავანტიურის პასუხისმგებლობა. მარტოვს საჭიროთ მიაჩნია მიღებულ იქნას ზომები სამხედრო მოქმედების შესაჩერებლათ ორივე მხრიდან და მოითხოვს პირველათ იქნას გარჩეული ეს საკითხი, ვინაიდან იგი მეტად სერიოზულია და სამოქალაქო ომიც უკვე დაიწყო. მარტოვის წინადადებას უერთდებიან ყველა ფრაქციები, მათ შორის ბოლშევიკების ფრაქციაც, როგორც ლუნაჩარსკიმ განაცხადა.

ს. რ-ებისა და მენშევიკების სახელით ხარაშა აცხადებს: საზამთრო სასახლეში სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებს ამ წუთში ტყვიებს უშენენ, ბოლშევიკების თვალთ-მაქცობის წყალობით მოხდა მავნე პოლიტიკური ავანტიურა. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ასეთი მოქმედების წინააღმდეგ და ყოველივე საშუალებით გავუწევთ წინააღმდეგობას ამ პოლიტიკურ ავანტიურას.

ფრონტის ჯგუფის სახელით კუჩინი აცხადებს, რომ ყრილობის წინ ჯარის ყველა ორგანიზაციებმა საბჭოების ყრილობის მოწვევა მრავალ საზოგადოებრივ მნიშვნელოვან მიზეზების გამო უდროოთ სცნეს. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების შემდეგ ზოგიერთმა ჯარის ორგანიზაციებმა გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები, მაგრამ არის ისეთი მრავალი ორგანიზაციები, რომლებსაც წარმომადგენლები არ გამოუგზავნიათ. ამასთანავე კუჩინი აცხადებს, რომ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ არიან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები.

დასასრულ ამხ. მარტოვმა წამოაყენა შემდეგი რეზოლუცია: ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ ის გადატრიალება, რომელმაც ძალა-უფლება ხელში ჩაუგდო სამხედრო რევოლუციონერ კომიტეტს, მოახდინა მხოლოდ მარტო ბოლშევიკების პარტიამ სამხედრო შეთქმულობის საშუალებით;

2) რომ ამ გადატრიალებას შეუძლია სისხლის ღვრა და სამოქალაქო ომი გამოიწვიოს და აგრეთვე კონტრ-რევოლუციონური მოძრაობა, რომელიც სისხლში ჩაახრჩობს პროლეტარულ მოძრაობას და ბოლოს მოუღებს რევოლუციას;

3) რომ ამ საშინელ სისხლის ღვრით ჯერ კიდევ თავიდან ააცილებთ ერთად-ერთი გზა

არის—მოხდეს ჯარის ნაწილის დანარჩენ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმება დემოკრატიულ მთავრობის შედგენის შესახებ, რომელსაც აღიარებს და ყველა რევოლიუციონური დემოკრატია და მტკიცედ ჩააბარებდა დროებითი მთავრობა ძალა-უფლებას;

მენშევიკების ფრაქცია წინადადებას აძლევს ყრილობას მიიღოს დადგენილება მშვიდობიანი გზით გადაწყდეს შექმნილი კრიზისი, საერთო დემოკრატიულ მთავრობის შედგენით. მენშევიკ-ინტერნაციონალისტთა ფრაქცია წინადადებას აძლევს ყრილობას დანიშნოს დელეგაცია დემოკრატიის სხვა ორგანიზებთან და ყველა სოციალისტურ პარტიებთან მოსალაპარაკებლად.

ამ დელეგაციის მუშაობის შედეგების გამორკვევამდე მენშევიკთა ფრაქცია წინადადებას აძლევს ყრილობას შესწყვიტოს თავისი მუშაობა.

გვიან ღამით მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმა და გლეხთა დეპუტატებმა ყრილობა დასტოვეს.

დროებითი რესპუბლიკის უხუცესთა საბჭომ დაადგინა:

1) რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო, არ არის დათხოვნილი, არამედ—მან დროებით შესწყვიტა სხდომები, ვინაიდან შეუძლებელია ამ ჟამად შეკრება და დამშვიდებით მუშაობა.

2) აუცილებლად საჭიროა ეცნობოს უხუცესთა საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტში.

3) რესპუბლიკის დროებითი საბჭოს თავმჯდომარეს მიენდოს მოწოდებით მიმართოს მცხოვრებთ და განუმარტოს საქმის ვითარება. საბჭოს ყველა წევრებს ეცნობოს უხუცესთა საბჭოს დადგენილება და ეთხოვოს მათ არ წავიდნენ პეტროგრადიდან, ვინაიდან პირველსავე შეძლებისამებრ რესპუბლიკის საბჭო მოწვეული იქნება.

უკანასკნელი ფოსტა

სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობამ დაადგინა: კერენსკის მიერ ფრონტზე აღდგენილი სიკვდილით დასჯა ისპობა. ფრონტზე აღდგენილია აგიტაციის სრული თავისუფლება. ის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ საქმეებზე, უნდა განთავისუფლებულ იქნენ.

დროებით რევოლიუციონურ კომიტეტს ცნობა მიუღია პეტროგრადში ქალ. ბიხოვიდან გენ. კორნილოვის გაქცევის შესახებ.

---

26 ოქტომბერს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს თათბირი გაუმართავთ. დაუდგენიათ: უკეთუ გამოირკვევა, რომ მთავრობის მხარეზე ჯარები არ არის, თუ აღმოჩნდება, რომ მთელი ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდა, დაუყოვნებლივ წავლენ ელჩები რუსეთიდან.

დროებით რევოლიუციონურ კომიტეტს ბოლშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით შეუმუშავებიათ მინისტრთა შემდეგი სია: მინისტრ-თავმჯდომარე ლენინი, საგარეო საქმეთა—ტროცკი, შინაგან საქმეთა და იუსტიციის—რიკოვი, გზათა—რიაზანოვი, სახალხო განათლების—ლუნაჩარსკი, შრომის—შლიაპნიკოვი, სამხედრო—ოვსიანიკოვი, კრილენკო და ძიბენკო, ფოსტა-ტელეგრაფის—ავილოვი, ფინანსთა—სკვორცოვი და მიწათმოქმედების—მილიუტინი.

დროებითმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა პეტროგრადში ბრძანება გამოსცა ანტიდემოკრატიული გაზეთების დახურვის შესახებ.

ამხანაგებო!

გახსოვდეთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოახლოვებულია. გაშალეთ ფართო აგიტაცია ჩვენი პარტიის სასარგებლოთ და აწარმოეთ გაძლიერებით საარჩევნო ფონდისთვის ფულის მოგროვება.

ახალი ამბები

მ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის წევრთა კრებამ დაადგინა [illegible] ჯარისკაცთათვის სამუშაოს საკითხში საერთო ზომებს საფუძვლად [illegible] შემდეგი დებულებანი: [illegible] მუშაობის მოწყობის დაჩქარება და [illegible] ძალა კაპიტალისტების წინააღმდეგ, [illegible] და განაწილებაზე კონტროლის [illegible] სახელმწიფოებრივი მასშტაბით და [illegible] კავშირთა ენერგიული მო[illegible].

◆ [illegible] დინეობის შეწუხება. თფ. ქალთა [illegible] კურსების მსმენელებმა დაადგინეს [illegible] 6 მეცადინეობა დამფუძნებელ კრების [illegible] წყობის დასრულებამდე.

◆ [illegible] ნოემბერს მოხდა თფილისის გარნიზონის სხვადასხვა ნაწილების წარმომადგენლების კრება. განსახილველი იყო საკითხი მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს სამხედრო სექციის ხელახლა არჩევის შესახებ. კრებამ [illegible] წარმომადგენლობა სხდომა მოხდეს მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს ხელ[illegible] რომ [illegible] ერთმანეთი ერთი უფ[illegible] რევოლიუციონური [illegible] წარმოდგენა. დღეს, ვ. ზუბალაშვილის სახალხო სახლის თეატრში [illegible] ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა სუმბათაშვილისა „ღალატი“, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **საარჩევნო ფონდი.** პირველი რაიონის ს.-დ. კოლექტივმა მიიღო თფ. საქონლის სადგურის მუშათა შორის შეგროვილი 746 მ. დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლად. ფულის შეგროვება გრძელდება.

— ამავე მიზნით თფილისის კომიტეტმა მიიღო საზოგადოება „კახეთი“-ს მუშებისაგან 23 მან.

◆ **მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს** სამხედრო სექციამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა გამოიმუშაოს წესები, სექციის ხელახლად არჩევის მოსახდენათ.

კრებები და მიტინგები.

ხვალ, საღამოს 5 ს., ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში (ანასტასიევის ქ.) მარქსისტ სტუდენტთა ორგანიზაციის მიერ დაარსებულ სამეცნიერო ეკონომიურ წრეში ამხ. მ. ხუნდაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ანარქიზმი და მარქსიზმი“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. დასწრება შეუძლიათ არა წევრ სტუდენტებსაც.

— დღეს, საღამოს 8 ს., სატრანსპორტო განყოფილების შენობაში (გოლოვინის პრ. № 6.) ამხ. [illegible] წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „დამფუძნებელი კრება და დემოკრატიული რესპუბლიკა“.

— დღეს საღამოს დანიშნულია მე-4 რაიონის მცირე კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 8 ს.; მე 2 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი (პავლოვის ქ. № 9) აწყობს ლექციას ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე დამფუძნებელ კრების შესახებ.

— ხვალ, დილის 10 საათზე, დანიშნულია მე 5 ქართულ მსროლელთა პოლკის კომიტეტის წევრთა არჩევნები.

პროვინციის ქრონიკა

გორი. გორის ქალთა კავშირმა უკვე სისრულეში მოიყვანა თავისი გადაწყვეტილება და გახსნა საკუთარი ფურნე სობოროს ქუჩაზე, სადაც 1 ნოემბრიდან უკვე დაიწყო პურის ცხობა.

— ქალთა კავშირის მიერ არჩეულ კომისიის დადგენილებით პურის ცხობა ებარება მ. კორკოტაშვილს და ნიკო წიქვლაშვილს ცუდათ პურის გამოცხობისათვის.

— გორის ქალთა კავშირის კომისიის მოხსენების თანახმად ერთი თვის ციხე მიუსაჯეს სიკო გოგიაშვილს ცუდი პურის გამოცხობისთვის და კომისიის გალანძღვისათვის.

ს. გლდანი (თელავის რაიონი). 2 ნოემბერს აქ შემდეგი გულშემზარავი ამბავი მოხდა: გვერდზე სიდონიანიძემ მოჰკლა მილიციონერი ნიკო გოგიძე. მკვლელობა მოხდა რომანოვის ნიადაგზე. მკვლელი მიიმალა; გამოუდგნენ დასჯით ავჭალის კომისარი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ძმათა სისხლის ასაღებად გამზადებული ჯგუფები დადიან, საჭიროა დროზე მიღებულ იქნას ზომები. ირკვევა, რომ საქმე დიდი ხნიდან მზადდებოდა, რაშიაც თურმე ჯარისკაცებიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

ძ. ფოთი. 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია ადგილობრივ განყოფილების ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების წლიური კრება. კრების საგანია: განხილვა წარსულის და მიმდინარე წლის ანგარიშის, თეატრის აშენების საკითხი; ნაბადას სკოლის; სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს; ახალი წევრების მიღება და არჩევა გამგეობის თავმჯდომარის, მდივნის, წევრების და სარევიზიო კომისიის. ვისაც წარსული და მიმდინარე წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ ეს ფული გადასცეს გამგეობის ხაზინადარს იოსებ კოხრეიძეს. კრებაზე ხმა მხოლოდ იმათ ექნებათ, ვისაც ანგარიში გასწორებული აქვს.

ხად. აჯიკაბუდი. 29 ოქტომბერს აქ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა „ზაიმუში“, მონაწილეობას ღებულობდნენ აქაური სცენის მოყვარენი. წარმოდგენა კარგათ ჩატარდა, ხალხიც ბლომათ დაესწრო და დიდათ ნასიამოვნები დარჩა.

მუშათა სექციაში

თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის, პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის და საქარხნო კომიტეტების საერთო კრებაზე 2 ნოემბერს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება პეტროგრადში მომხდარი ამბების გამო თფილისის გარნიზონის ნაწილის სულიერი განწყობილების შესახებ და მიიღო რა სახეში საბჭოს დადგენილება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესახებ და აგრეთვე—თფილისის მცხოვრებთა ნაციონალური სიჭრელე, დაადგინეთ: ყოველგვარი შეიარაღებული გამოსვლა თფილისის ქუჩებში იქნება ორგანიზაციულად შეკავშირებული მასის ორგანიზაციულად შეკავშირებულთა წინააღმდეგ გამოსვლა, რაც გამოიწვევს „პოგრომებს“ და ნაციონალურ ბრძოლას მთელს ამიერ-კავკასიაში, ამიტომ მოვუწოდებთ გარნიზონის ნაწილებს ნაწილს გავლენა მოახდინონ მთელს გარნიზონზე, რათა დაცულ იქნას წესრიგი და რევოლიუციონური დემოკრატიის მთლიანობა.

ამ რეზოლიუციას მომხრე იყო 141 კაცი, წინააღმდეგი—11, თავი შეიკავა 10 კაცმა.

საარჩევნო სამზადისი

ფშავეთი (თიანეთის მაზრა). 24 ოქტომბერს, შუაფხოში გაიმართა შუაფხოს საზოგადოების ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ ამხ. ვ. მგელაძე და ვ. ტუქსიშვილი. კრებამ მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტზე: დამფუძნებელ კრებაზე, კრიზისზე და სხვა. დასასრულ აირჩიეს საარჩევნო კომისია.

— მაღაროს კარში 26 ოქტომბერს გაიმართა სახალხო ყრილობა, რომელზედაც ილაპარაკეს ვ. მგელაძემ, ვ. ტუქსიშვილმა და ადგილობრივმა პირებმა. აქაც აირჩიეს საარჩევნო კომისია.

ხევსურეთი. ბარისახოში ვლ. მგელაძის მონაწილეობით გაიმართა დამფ. კრების შესახებ თათბირი. თათბირზე გამოირკვა, რომ კომისია დანიშნულია, მხოლოდ არჩევნებს ხალხი გულგრილად ეკიდება.

არტან იორის ხეობა. (თიან. მაზ.) 27 ოქტომბერს გაიმართა მთელი ხეობის ყრილობა. ყრილობაზე მოხსენება გააკეთა დამ. კრების შესახებ თფილისელმა მუშამ. მოხსენების შემდეგ ილაპარაკა ნ. ქუმსიაშვილმა. ხალხმა დაადგინა 10, 11, 12 გიორგობისთვეს არსად არ წავიდნენ და არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ.

ბაწარის ხეობა. 30 ოქტომბერს გაიმართა მთელი ხეობის ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ თუშები, ფშაველები, ქისტები და ოსები. დამფ. კრების შესახებ ილაპარაკა ნ. ქუმსიაშვილმა, მგელაძემ და თფილისელმა მუშამ. კრება გაგრძელდა საღამომდე, დაადგინეს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. საერთოდ პანკისში მშვიდობიანობის დარღვევამ მდგომარეობა გაამწვავა.

თ—ლი მ.

კავკასიის საბჭოთა ცენტრი

2 ნოემბერს ამხ. ევგ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება. კრებას ბოლშევიკები არ დაესწრნენ. კავკასიის ჯარის კომისარმა დ. დონსკოიმ გააცნო დამსწრეთ დუხონინის უკანასკნელი დეპეშა და რომენბლოკისა და პეტროგრადისა შორის მოლაპარაკება. მან სთქვა, სხვათა შორის, რომ ჯარის ერთი ნაწილი მხარს უჭერს ბოლშევიკებს, ხოლო მეორე ნაწილი დარჩა დროებითი მთავრობის ერთგული. ყაზახები არ ერევიან სოციალისტთა შორის ბრძოლაში და განაცხადეს, ჩვენ არ დავემორჩილებით იმ მთავრობას, რომელშიაც შევლენ ბოლშევიკებიო. ამხ. ევგენი გეგეჭკორი აცხადებს, სევასტოპოლის ფლოტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დასრულებას, დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევას და ერთგვაროვან დემოკრატიული მთავრობის შედგენასა. ტრიხინი (ს.-რ.) ამბობს, რომ სამოქალაქო ომი გამოიწვია შეთანხმების პოლიტიკამ, უკვე დადგა დრო, როცა დემოკრატიამ თავის ხელში უნდა აიღოს ძალა-უფლება, საჭიროა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნა, ამიტომ უნდა შევუთანხმდეთ ბოლშევიკებს. გეინიკე, თარხნიშვილი (ს.-რევოლიუციონერები) შეუძლებლად მიაჩნიათ დღეს ბოლშევიკებთან შეთანხმება და წინააღმდეგნი არიან მთავრობაში ბოლშევიკების წარმომადგენლების დაშვების.

ამხ. ნ. არსენიძე აკრიტიკებს უკვე მიღებულ რეზოლიუციას შემდეგ საკითხის შესახებ კიდევ ასეთი კამათი. თუ კი კადეტებთან ერთად მუშაობა იყო შესაძლებელი, რატომ არ შეიძლება შევუთანხმდეთ ბოლშევიკებს? მიუხედავად ღრმა პრინციპიალურ განსხვავებისა, ბოლშევიკებსა და დანარჩენ რევოლიუციონურ დემოკრატიას შორის ბევრი რამ არის საერთო. ყველა სოციალისტურ პარტიათა შორის ბრძოლა შეუძლებელია და საშიშია. უნდა ვემზადოთ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომ საჭიროა მთელი დემოკრატიის გაერთიანება. ამხ. ევგ. გეგეჭკორი მიუთითებს დამსწრეთ, რომ კორნილოვის გამოსვლის დროს დემოკრატიის რაზმები გაერთიანდა და ბოლშევიკებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონტრ-რევოლიუციონერ აჯანყების ჩაქრობაში. ამ ჟამათ მემარჯვენე წრები ირაზმებიან. ყაზახებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს, ისინი დროს უცდიან, როდის დაუძლურდება დემოკრატია სამოქალაქო ომით, რომ შემდეგ თავისი დროშა აღმართონ. მარჯვნიდან საფრთხის წინაშე, თავის თავის დაცვის გრძნობით გაწვრთნილნი ბოლშევიკები გამონახავენ ჩვენთან საერთო ენას და აუცილებლათ უნდა მოხდეს მათთან შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო ომი დაღუპავს რევოლიუციასო.

დ. დონსკოი აცხადებს, მიღებულია შეუმოწმებელი ცნობა, ვითომც ყაზახების უფროსი შლიაპკინი წინადადებას იძლევა ბოლშევიკების გამოსვლის იარაღით ჩქრობის. მემარჯვენეებს ეშინიათ არ მოხდეს შეთანხმება ბოლშევიკებსა და დემოკრატიას შორის და ამიტომ უპირატესობას აძლევენ ბოლშევიკებს, რომ გახადონ ისინი უფრო შეურიგებელი და მით გააღრმავონ განხეთქილება რევოლიუციონურ დემოკრატიის შორის. ცენტრმა უნდა სთქვას: ძირს სამოქალაქო ომი დემოკრატიულ პარტიათა შორის, ჩვენ ყველას საერთო პლატფორმა—ერთგვაროვანი მთავრობის შექმნა დამფუძნებელ კრების მოსაწვევამდე. ფრონტზე არჩევნები უკვე დაიწყო და დამფუძნებელი კრება მოწვეულ უნდა იქნას, რაც უნდა დაგვიჯდეს. დემოკრატია უნდა გაერთიანდეს და თუ ბოლშევიკები არ დაადგებიან შეთანხმების გზას, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრება. კამათის დასრულების შემდეგ 7 წინააღმდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა ევგენი გეგეჭკორის შემდეგი რეზოლიუცია:

„კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა, მოისმინა რა ცნობა დღევანდელ ამბების გამო საქმის მდგომარეობის შესახებ, ერთხელ კიდევ ადასტურებს პეტროგრადში ბოლშევიკების გამოსვლის პირველ მომენტის დროს გამოთქმულ აზრს, რომ მხოლოდ დაწყებულ მოქალაქობრივ ომის მშვიდობიანი ლიკვიდაციას, მხოლოდ თვით რევოლიუც. დემოკრატ. შიგნით კოალიციის ახალ მთავრობის შედგენის დროს ყველა სოციალისტურ პარტიების, ბოლშევიკებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტებამდე, წარმომადგენლების მოწვევით, გადაჭრილი პირობით დროზე მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, საჩქარო დემოკრატიულ ზავის ჩამოსაგდებად აქტიური აშკარა საგარეო პოლიტიკის წარმოებას, ანარქიასთან და ჯარის გახრწნასთან ბრძოლას, სეპარატიულად გამოსვლაზე უარის თქმა, სულ ერთია საიდან იქნება ის, შეუძლია მხოლოდ შეაკავშიროს დემოკრატიის ყველა ძალები და ბოლო მოუღოს სამოქალაქო ომს.“

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური კომიტეტის ორგანო „უწყებანი“ სწერს: „ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ ბოლშევიკები ვერ შესძლებენ სახელმწიფოებრივ მთავრობის შედგენას. ჯერ ჯერობით ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს მხოლოდ პეტროგრადი და არა მთელი რუსეთი. მოგველის სისხლიანი სამოქალაქო ომი. სისხლი და „პოგრომები“—აი ვის მოლოდინში უნდა ვიყოთ“. გაზეთი გამოსავალს მხოლოდ იმაში ხედავს, „უკეთუ შედგენილი იქნება დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც მხარს დაუჭერს დემოკრატიის ყველა წრეები და პარტიები და თუ ბოლშევიკებიც დათანხმდებიან ასეთი მთავრობის შედგენაზე“.

„რაბოჩაია გაზეტას“ აზრით ბოლშევიკების გამოსვლა, „ეს რევოლიუცია არ არის, ეს არც აჯანყებაა. ეს სამხედრო შეთქმულობაა, სწორეთ ისეთი, როგორსაც ახალგაზრდა ოსმალები აწყობდნენ, ან როგორი შეთქმულებებიც ხდებოდა ისპანიაში და სამხრეთ-ამერიკის ზოგიერთ რესპუბლიკებში. ბოლშევიკების გამოსვლის მიზანი არ არის კომუნის დამყარება, ის პროლეტარიატის მამაცური გამოსვლა წვრილ ბურჟუაზიის და რეაქციონური ბურჟუაზიის და გარეშე მტრის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ—შეთქმულობის საშვალებით მთავრობის ძალა-უფლების ხელში ჩაგდება აქვს მიზნად. გამოსავალს გაზეთი ხედავს დროებითი მთავრობის დემოკრატიზაციაში, რომელმაც დეკლარაცია უნდა გამოსცეს დაუყოვნებლივ ზავზე მოლაპარაკების და დამფუძნებელი კრების თავის დროზე მოწვევის შესახებ. გაზეთის აზრით მაშინ „ასეთ მთავრობას მხარს დაუჭერს მთელი დემოკრატიული რუსეთი, მთელი ჯარების შეგნებული ნაწილი და ამის შემდეგ შეთქმული ბოლშევიკები განცალკევებული დარჩებიან“.

ბოლშევიკების „რაბოჩი პუტის“ აზრით ხსნა მხოლოდ საბჭოთა ხელში ძალა-უფლების გადასვლაშია. „გადატრიალების მეორე დღესვე უნდა შედგენილ იქნას ისეთი მთავრობა, რომელიც დაამარცხებს ბურჟუაზიას, ბურჟუაზიული ძალადობის აპარატი ამ ჟამად დანგრეულია პეტროგრადის აჯანყებით. საბჭოთა ყრილობამ შექმნას ახალი აპარატი,—რომელიც იქნება დაჩაგრული კლასის რევოლიუციონური დიქტატურა“.

სოც.-რევოლიუციონერთა ცენტრალური ორგანო „დელო ნაროდა“ სწერს: „მათ (ე. ი. ბოლშევიკებმა) ძალა-უფლება უკვე „გადასცეს“ საბჭოებს. საბჭოთა ყრილობის გახსნას არც კი დაუცადეს. ასეთი ნაბიჯის გადადგმით მათ რევოლ. დემ. არა ბოლშევიკ ნაწილისაგან თავი განმარტოვეს და ამით თავის თავზე აიღეს დიდი პასუხისმგებლობა. სოც.-რევოლიუციონერები არასოდეს მხარს არ დაუჭერენ ბოლშევიკებს ასეთი დანიშნული ნაბიჯის გადადგმაში. ბანკების, რკინის გზის და ელექტრონის სადგურების დაკავება, თუ გინდ დროებითი მთავრობის დახვრეტა, არ ნიშნავს გამარჯვებას“.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 23 ოქტომბერს შესდგა თფ. საქ. სადგურის რ. ს.-დ. მ. პ. „იაჩეიკის“ კრება, რომელსაც დაესწრო 89 წევრი. დღის წესრიგი შეიცავდა შემდეგ კითხვებს: მოხსენება ლომიძის გამომძიებელ კომისიისა, წითელი გვარდია, სურსათის მოწესრიგება, ბორიოტ მოქმედების მოსპობა.

წითელი გვარდიის შესახებ კრებამ იმსჯელა და საჭიროდ სცნო შედგენა და ამისათვის აირჩია კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, რომელთაც ევალება წევრების არჩევა. რადგანაც პურის ზარათები თავდება და რადგანაც ზარათების მიღება აფერხებს მუშაობას, ამისთვის ეთხოვოს სასურსათო კომიტეტს, რომ ყველასთვის ერთად გამოსცეს პურის ზარათები. [illegible] კომისია. ქურდობის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რადგანაც დღეს ქურდობა გახშირდა და მოწმეები იმას, რომ ქურდობაზე დათხოვნილ მუშებს კრება უკანვე ღებულობს, ეს ახშირებს ქურდობას. ამისათვის კრება ეთანხმება იმ აზრს, რომ ვისაც ქურდობაზე დაიჭერენ და დაითხოვენ, ისინი უკანვე არ იქნან მიღებული.

25 ოქტომბერს მოხდა პარტ. წევრების კრება, გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება ადგილობრივ პროფ. კავშირ. კომიტეტისა, ჯამაგირების დანიშნულ დროზე დარიგება, მუშაობის შესახებ, იმ პარტ. წევრების შესახებ, რომლებმაც ბორიოტება ჩაიდინეს, კომიტეტის ერთი წევრის ამორჩევა. გამომძ. კომის. ერთი წევრის არჩევა ბ. სიხარულიძის მაგიერ, გადატვირთვის შესახებ. მოხსენება გააკეთეს კომიტეტის წევრებმა, ბერძენიშვილმა და ცინცაძემ, რომლებმაც გააცნეს კრებას კავშირის მუშაობა და მოითხოვა ამხანაგის მაგიერი კაცი. ცინცაძემ განმარტა დამფუძნებელ კრების არჩევნები თუ როგორ უნდა ჩაეწერონ სიაში გამოჩენილი წევრები. მასთან ცინცაძემ დაუმატა, რომ გადახდილ იქნას წინა კრებაზე დადგენილი თითო დღის ჯამაგირი დამფ. კრების ფონდის გასაძლიერებლად. გარდა ამისა დაევალა ამხანაგებს გამოიწერონ გაზეთი „ერთობა“. კრებამ მოისმინა ყველა ესენი და გადავიდა მორიგ კითხვებზე. ჯამაგირების თავის დროზე დარიგების შესახებ კრებამ დაადგინა, იქნეს ჯამაგირები დარიგებული თვეში ერთხელ—ხუთიდან ხუთ რიცხვამდის ყოველ მიზეზს გარეშე. მუშაობის ნორმალურად მოწყობის შესახებ კრებამ დაადგინა ეს კითხვა ქონდა დავალებული კომიტეტს, რომელსაც უნდა გამოეძებნა დისციპლინა. კომიტეტს დაევალოს გამოაძებნოს დისციპლინა და ვიმუშაოთ თანახმად დადგენილებისა. ალექსი მურადოვის შესახებ კრებამ დაადგინა: იქნეს მურადოვი გაძევებული პარტიიდან, ვინაიდან მან საზიზღარი მოქმედება ჩაიდინა, ე. ი. ბორიოტ მოქმედება. კრებამ ერთხმად აირჩია კომიტ. წევრად მიქ. სიხარულიძე. გამომძიებელ კომისიაში ბიქტორ სიხარულიძის მაგიერ აირჩიეს ერმილე ორმოცაძე. გადატვირთვის შესახებ წინადადება მიეცა ადგილობრივ კომიტეტს, რაზედაც მივიღებთ პასუხს რკინის გზის ადმინისტრაციიდან.

საშა ჩიგოგიძე.

ჯარის-კაცთა წერილები

თავრიზი. (სპარსეთი). 26 ოქტომბერს შესდგა კრება თავრიზის გარნიზონში მყოფ ყველა ქართველი ჯარისკაცებისა. კრება გახსნა მისივე ინიციატორმა ამხ. რაფ. ჩხიაძემ. საგანი სჯის იყო დამფუძნებელი კრება და დემოკრატიული რესპუბლიკა. მან ვრცლად ილაპარაკა დამფუძნებელ კრებაზე. შეეხო ყველა არსებულ მართველობის ფორმებს, აღნიშნა მათი ნაკლულოვანებანი და სთქვა, რომ არც ერთი ფორმა მართველობის არსებული დღეს ევროპაში არ აკმაყოფილებს დემოკრატიას. სხვა მრავალ კითხვებთან ერთად, სთქვა მან, დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს ფორმა მართველობისა; რომ დემოკრატიის ინტერესები იქნას დაცული, უსათუოდ უნდა იყოს ერთ პალატიანი კანონმდებელი დაწესებულება, რომელიც აირჩევს მინისტრებს, უკანასკნელნი კი სისრულეში უნდა მოჰყავდეს პირველის გადაწყვეტილება, მხოლოდ სამინისტროს კი შეუძლია თავის მხრივ კანონ პროექტის შემუშავება, რომელიც უსათუოდ იმავე კანონმდებელ დაწესებულებაში უნდა იქნას დასამტკიცებლათ წარმოდგენილი. აღნიშნა, რომ პრეზიდენტი არ არის საჭირო, რომ მისი მოვალეობა შეუძლია შეასრულოს თვით მინისტრებისაგან ერთი წლის ვადით არჩეულ თავმჯდომარეს, რომელიც არავითარი განსაკუთრებული უფლებებით არ ისარგებლებს, მანვე მიუთითა არჩევნების სხვადასხვა ფორმებზე, მის პრაქტიკულად წარმოებაზე; ახსნა, თუ წერა-კითხვის არ მცოდნეს როგორ შეუძლია საიდუმლოების დაცვა არჩევნების დროს და სხვა.

შემდეგ მიმართა ჯარისკაცებს,—პირველია მსოფლიო ისტორიაში, როდესაც ჯარისკაცი სრულ უფლებიანი მოქალაქე ხდება, პირველია ჯარისკაცების კანონმდებელ ორგანოს შექმნაში მონაწილეობის მიღება. ამას შემდეგ შეეხო, თუ ვის უნდა მისცეს ხმა ჯარისკაცებმა არა თუ მარტო თავად, არამედ—ვის სასარგებლოთ უნდა გასწიონ აგიტაცია. „ამხანაგებო, სთქვა მან, უნდა მისცეთ ხმა იმ პარტიას, რომელსაც ვიცნობთ როგორც საუკეთესო მებრძოლს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ არა თუ დღეს, არამედ—რეაქციის სუსხიან ხანებში, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა, როგორც თვით ცხოვრებაში, მასაში, აგრეთვე რომელიც თავზარს სცემდა ყველას ძველის წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან და რომლებიც ამისთვის იგზავნებოდენ ციხეებში, ციმბირში და სახრჩობელაზე, ასეთი პარტია, ამხანაგებო, არის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია, გაათავა სიტყვა ამხანაგმა, რომელიც მქუხარე ტაშის ცემით დაიფარა, ჯარისკაცები ძლიერ ნასიამოვნები დარჩნენ. არჩეულ იქნა რვა კაცი, რომელთაც უნდა უხელმძღვანელონ არჩევნებს.

ჯარის-კაცი მ. ჩ—ძე.

მთიულეთის ამბები

ქისტეთში წასული დელეგაცია ამხ. ნ. ქუმსიაშვილის მეთაურობით უკან დაბრუნდა. დელეგაცია ქისტეთში მშვიდობიანათ გადავიდა, მხოლოდ მაზანს ვერ შეაღწია. დაბრკოლები არ უქნიათ. მოთხოვნილებაზე, რომელიც გადაეცა ქისტებს საგუბერნიო კომისარიატისაგან, ქისტების წარმომადგენლებმა დამორჩილების თანხმობა განაცხადეს, მაგრამ თანხმობა ფაქტიათ დარჩა. ცნობილია, გამოსასყიდნებლათ მისულ ხევსურთ სამ ცხენში 1400 მანეთი გადაახდევინეს.

28 ოქტომბერს დილით წავიდნენ თუშები მოკლულების გამოსასვენებლათ. ამბობენ— ქისტები თუშებსაც ასე მოექცევიანო.

გამოძიებიდან ირკვევა, რომ თავდასხმის დროს ქისტების რაზმებში აღმოჩენილა ხევსური ყაჩაღიც. შიშიანობა თანდათან იზრდება. მით ხალხში ქისტების რაზმები მრავლდებიან. არხოტ-იგრის ხეობების მთებში აქა-იქ ჯგუფ ჯგუფათ გამოჩნდენ.

24 ოქტომბერს, ღამით თავს დაესხნენ სოფ. დაჩანურს (ფშავეთი), მოკლეს ერთი ფშაველი, სცემეს ქალებს და გაიტაცეს საქონელი. სოფელი მილიციონერების დახმარებით წავიდა ყაზახია რაზმი, მაგრამ ვერას გახდა.

26 ოქტომბერს ღამით თავს დაესხნენ არტანის ხევეთ, საიდამ მთელი ლეგე გაიტაცა.

მთელი არტანის ხეობის სოფლელები შევიდნენ, ბარში, ანანურში.

27 ოქტომბერს თავს დაესხნენ შატილის ხევს, რომლებიც ხალხს სრულიათ იყო. გამოდევნებული, რა მოხდა, გამოქცეულმა ხალხმა ბარში სოფლებს მოაშურა. მათი გაცილებით, გამოცემულ საქონლიდან ერთათ წაიყვანიათ ქალებიც.

ფშავეთიდან დეპუტაცია ნ. რაზიკაშვილის (ბაჩანა) მეთაურობით გაემგზავრა თიანეთში, თავდაცვისათვის იარაღის მოითხოვენ. 27 ოქტომბერს მოხდა არხოტ-იგრის ხეობის ფშაველთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ თვ დასული აზნაური და ნ. ქუმსიაშვილი. ყრილობაზე გამოირკვა, რომ ცხოვრება აწეწილ-დაწეწილია, მუშაობა ყველგან შეჩერებულია. პანკისის ხეობაშიაც წესრიგი დაირღვა. ქისტია ყაჩაღებმა აქეთაც გადმოიარეს.

28 ოქტომბერს თავს დაესხნენ სოფ. მუცოს ხევს, გაიტაცეს საქონელი და აგრეთვე ორი ბავშვი: ერთი 7 წლისა და მეორე 12 წლის ქალი. ზოგები მიიღეს. 29 ოქტომბერს ზვიადი ტყეში იპოვნეს ტყვეთ გატაცებული ბავშვები, რომლებიც დაეხოცათ. დახოცილი ბავშვები მოასვენეს 30 ოქტომბერს პანკისში.

თ—ლი მგზა.

სოფლად.

სოფლად სოც. დემოკრატიის წევრთა უმრავლესობას გლეხები შეადგენენ, მაგრამ ჩვენი მოწინავე ამხანაგები ხშირათ იმეორებენ: ჩვენმა გლეხობამ არ იცის რას ნიშნავს, ის შეგნებულათ მიყვება სოც.-დემოკრატიას და სხვა. მე მგონია, ეს მხოლოდ წყალ წაღებულის ხავსზე მოჭიდებაა. გასულ ზაფხულს შემთხვევა მქონდა ვყოფილიყავი მაზრაში სხვადასხვა სოფლებში [illegible] ქართველ გლეხობის ერთ ნაწილს, სახელდობრ, იმერლებს, ფშაველებს და მეგრელების საზოგადოებების გლეხ-კაცობას. ამ გაცნობამ რამდენიმე ნათელი წარმოდგენა მომცა ქართველ გლეხ-კაცობის დღევანდელ ცხოვრების ზოგიერთ მხარეებზე და მასთან ნათელყო ჩემთვის, თუ რამდენათ ჩამორჩენილია ჩვენი ქვეყნის ერთი კუთხე მეორე კუთხესთან შედარებით. ვინ არ იცის დღეს გურიის გლეხკაცობის დაწინაურება კულტურულ ცხოვრების ხაზით, გურიაში დღეს ბავშვიც კი პოლიტიკაზე დაგიწყებს ლაპარაკს მაშინ, როცა ქართლის ზოგიერთ სოფლებში გლეხობას ნახევარმაც არ კი იცის ხეირიანათ, რა მოხდა რუსეთში ამ ლამის ხანს განმავლობაში და რა ხდება დღეს ჩვენს თავზე. ამიტომ არის, რომ ჩვენი გლეხკაცობის შეგნებული ნაწილი წინ მიდის ეკონომიურათ, ჩამორჩენილი ნაწილი კი, კვლავ იტარებს ხალხიანობის და ბნელეთის უღელს.

ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის სამწუხარო მოვლენა, რომ რევოლუციის ძლიერ ქარიშხალს ჯერ კიდევ ვერ გამოუღვიძებია ზოგიერთ ჩვენ სოფლებში, სადაც გლეხ-კაცობა შეგნებული, ძველი წეს-წყობილების ცხოვრებაა.

მაგრამ ამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გლეხთა კულტურულ და ეკონომიურ სხვადასხვაობაში და ფსიქოლოგიაში აღსანიშნავია ერთი ფრიად საინტერესო მოვლენა: ჩვენი გლეხობის შეგნებული ნაწილი, [illegible] რადიკალური, [illegible] პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ის ფორმები, რომელიც ჩვენი გლეხობის შეგნებულმა ნაწილმა 1905 წლ. დაიმკვიდრა...

[illegible] ამ ხანს ჩვენში. ვინ არ იცის, რომ გლეხობა სოციალ-დემოკრატია. [illegible] ხალხი [illegible] გლეხობის [illegible] საზოგადოებათა [illegible] გლეხის [illegible] ეკონომიური და პოლიტიკური [illegible] რომ ქართველ გლეხობის უმრავლესობაც [illegible] და პოლიტიკური [illegible] გლეხობის [illegible].

[illegible] სოფლებშიაც კი, სადაც [illegible] ბევრს ფიქრობენ, ვინემ ფულზე.

რადიკალურს, სადაც გლეხობას მიწის „სოციალიზაციის“ ქადაგება ხშირად ესმის, მაინც ეს ქადაგება ნიადაგს ვერ პოულობს.

— ჩვენ, მიწის მუშებს, მოგვეცით იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებას ჩვენ შევიძლებთ ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში, მოისპოს ჩვენი ნაშრომის ექსპლოატაციისთვის მიცემა, თუ მიწის სარგებლობისათვის რამეს გადავიხდით —თვით ჩვენ საქმეებს უნდა ხმარდებოდეს, მეტს კი ჩვენ მიწის შესახებ არაფერს მოვითხოვთ,—ხშირად მეუბნებოდნენ სხვადასხვა სოფლებში გლეხები.

ამას ისიც ერთვის, რომ „სოციალიზაციის“ მქადაგებელნი სოფლად თავად-აზნაურების წრეებიდან გამოდიან. ეს გარემოებაც კი უკარგავს ჩვენში ნიადაგს „სოციალიზაციის“ ქადაგებას.

ეხლა ვნახოთ გლეხთა დღევანდელი ეკონომიური ცხოვრება. რას ჰგავს ის?—დღეს ყველა გზა-ჯვარედინზე ერთს და იმავეს გაიგონებთ: სოფელი გამდიდრდა, გლეხებმა ჯიბეები ფულებით გაიტენეს, ბევრიც საქმე აქვთ და ფულიც.

ამას გვიკვეთს ფულიანი ქალაქის მცხოვრები, რომელსაც მართლა გული სტკივა ამ ომიანობის დროს იმის, რომ გლეხი გამდიდრდა, რომ გამოდგება შერჩეს.

ჩვენ კი ვამბობთ, რომ დღევანდელი ეკონომიური ცხოვრება ჩვენი გლეხ-კაცობისა უფრო მძიმეა, ვიდრე წინანდელი და აი რატომ:

მართალია ამ ომიანობის დროს სოფელში ფული შევიდა, ფული დღეს ჩვენი გლეხკაცობაშიაც „მდიდარია“, მაგრამ ერთი მანეთი, ვინ არ იცის დღეს ფულის მაძღარი?

მაგრამ ფული გაქვს და პური არა. ფული გაქვს და ტანზე არ გაცვია. და გლეხების მოთხოვნილებების კლება დღეს უკვე ჩანს. აი მაგალითი, ერთმა გლეხმა შემდეგი მითხრა: სამოცი წლისა ვარ და ჩემს სიცოცხლეში ამდენი ფული ჩემს ოჯახში არ შემოსულა, რამდენიც ამ ომიანობის დროს. თუ შვილების სიკვდილი არ გამომჩენოდა, დღეს რამდენიმე ათასი მანეთის პატრონი ვიქნებოდით.

როცა შევეკითხე, თუ რისგან შემოვიდა მის ოჯახში ამდენი ფული, მიპასუხა: რაც გვქონდა ძროხა თუ რამე, ყველაფერი გავყიდე, მარტო ქათმებიდან და კვერცხებიდან შემოვიდა ფული ორას მანეთამდე და ცხრა ჩემი მუშაობით, კიდევ რამდენიმე, ათ მანეთ ნაკლებ მამაჩემ მოგვცა რომ გადაცხადეს, იმას არ მივცეთ ხელში, და სხვ. ამ ფულებიდან კი იმდენიც არ დარჩება რამდენიც წინათ. შვილი რომ მოიყვანა სულ მოვალეობის ბრალით. ფული ჯიბეში მქონდა და ავადმყოფისთვის ფერშალი ვერ ვიშოვე და მოკვდა. ეხლა შემოხვედ—ტანზე არ მაცვია და ფეხზე, ყველაფერი შიშველები ვართ. აბა, რათ მინდა ეს ფული თუ მოთხოვნილებას ვერ ვიკმაყოფილებ.

ამას, ომიანობამ, როგორც მთელი ხალხის, ისე ჩვენი გლეხობის ეკონომიური ცხოვრება აწეწა და შეშალა. ხაზინადღეის ერთმა ნაწილმა, სხვადასხვა სპეკულიანტებმა ჯიბეები გაიტენეს, მათთვის ომიანობა ბედნიერებაა. მაგრამ ვინ იკითხავს, რომ ხალხის უმრავლესობისათვის რას უბედურებას მეტი რაიმე მოუტანია?

როგორც ქალაქებში ისე სოფლად ომი უმრავლესობისათვის შავი დღეებია. რამდენ ოჯახს გამოაცალა ამ უმსგავსმა ომმა სახსარი და რამდენი ოჯახი გააპარტახა ვინ დაითვლის? მაგრამ ამ საერთო გლოვა-ტირილში თქვენ გაიგონებთ სოფლებშიც სადამ ხარხარს და ლხინ-თამაშს. ვინ არიან ეს „მდიდრები“? სოფლის სპეკულიანტები და შემთხვევით გამდიდრებულნი. ამ უკანასკნელთ ეკუთვნიან ისეთი ოჯახები, რომელთაც ომის წყალობით მარჩენლები არ შეხებიათ. მე ვიცნობ ორ გლეხს ერთი და იმავე სოფელში. ერთის ჰყავს ხუთი ვაჟი, ხუთივე წაიყვანეს ომში, ოთხი მათგანი მოკლეს, ერთიც ტყვეთაა წაყვანილი. ამ გლეხის ოჯახი ნახევრათ გაპარტახებულია. მეორე გლეხს ჰყავს ოთხი ვაჟი და არც ერთი მათგანს სამხედრო სამსახური არ უნახავს, პირიქით ხამი მათგანი მ. სხვადასხვა ადგილ დაწესებულებაში, რომლებმაც პატივს შეუ სამხედრო სამსახურიდან, რასაკვირველია, ისინი ცხოვრობენ ოჯახს უფლობ.

დღეს ამ გლეხის ოჯახისათვის „ღმერთის“ ღამეებია.

ასეთ ოჯახებს დღეს სოფელი არა ერთი და ორია.

აშკარაა, ამ უმსგავსომ ომმა ხალხის ქონებამ, როგორც ქალაქი, ისე სოფლის საკუთრების განაწილებაში მრავალ ოჯახისათვის ცვლილება შეიტანა, ღარიბი ხალხი, უფრო დაღარიბდა და ამ ორი კატეგორიის და მათ შორის უფრო ღრმა ორმო ამოთხარა.

ხშირად ასეთი მდგომარეობამ—ომისაგან შექმნილმა ხალხის უმწეობამ გაჩენებამ ღარიბთა რიგებში ის ცეცხლი, რომელმაც შთანთქა რუსეთის ძველი წესწყობილება და რომლისაც ეწოდება რევოლუცია.

თავისთავად ცხადია, რომ ამ რევოლუციის ქალაქის და სოფლის დემოკრატიისათვის უნდა მოეტანა ის ფასეულობა, უნდა გაეუმჯობესებინა მათი ყოფა-ცხოვრება, რომლისთვისაც დემოკრატიის შვილები თავდადებით იბრძოდნენ.

მაგრამ ჯერ ჩვენი გლეხობამ ცოტაც კი ვერ იგემა, მხოლოდ ერთი გლეხი. აბა ეს რას ნიშნავს, მიწა მიიღო შეუძლიათ, ოფლი ჩამოსდის მუდამ და ეხლა ეს ჩემი ნამუშევარი უნდა ვიღაცას მივცე, რომელიც წინათ დღის განმავლობაში მუშის ოფლის წვეთს არაფერის ყადრებსო, დაუმატა მან.

ეს ვილაცეები კი ჩვენი ზოგიერთი თავადაზნაურები განკაცდეთ, რომლებიც დღესაც ძველებურათ უმზადებიან რევოლუციის და სოციალ-დემოკრატიის წყევლა-კრულვას. ეს ვაჟბატონები დღესაც ზოგიერთ სოფლებში აშკარათ გამოდიან და აძაგებენ რევოლუციას. მაგალითად, მეჯვრისხევს ერთმა კნეინა მათგანმა, რომელიც უსახელის მიწათმფლობელთა ითვლება გორის მაზრაში, აშკარათ დაუწყო რევოლუციას და სოციალ-დემოკრატიის ლანძღვა-გინება იმიტომ, რომ რევოლუციამ გლეხობამ თავს აუშვა და წინანდელივით ლალებს არ მაძლევენო. ეს კნეინა კი ჩვენში ცნობილია „ქველმოქმედობით“. მეორე მაგალითიც. ტყვიავში ერთმა ერისთავთაგანმა ეზოშიაც არ შეგვიშვა, როცა გაიგო, რომ ჩვენ სასოფლო სამეურნეო აღმწერლები ვიყავით.

რევოლუციამ დაანგრია ჩემი ოჯახი და თქვენ კიდევ ცეცხლი გინდათ წაუკიდოთო და სხვ.

ასეთი კონტრ-რევოლუციონერი ჩვენ ქვეყანას არაა ერთი და ორი მოეპოვება.

მათზე არა ნაკლებ „ერთგულათ“ ემსახურებიან რევოლუციის სოფლის ზოგიერთი ჩვენი „სულიერი მამები“.

მათი „მოღვაწეობა“ შეუგნებელ გლეხობაში წინანდელზე გადაჭარბებულია. აი მაგალითიც. მერეთის საზოგადოებაში არის ერთი მღვდელი, რომელიც ტაძრის წინდაწინ ადგენს ხალხს ლოცვას. არ იქნა და ვერ მოიგო შინაური თავადები,—შეაჩვენეს გლეხებმა და თან მიიღებს თუ როგორ „მოღვაწეობს“ ეს პატიოსანი მღვდელი თავის მრევლში. წინათ კომლზე 2 მ. იღებდა, ეხლა ნახ. კოდ პურს თხოულობს. ხალხს უჩივლია თვითონ, თუ არ მოიყვანთ არ გეწირავო. შემთხვევა ყოფილა, რომ მკვდარი უწირავი დაუმარხავთ. ჯვრის საწერს იღებს თურმე 20 მ. ... თავს იმართლებს, რომ ... ჩვენ ... ლოცვის ... რაც ... ... იღებს ქორწილზე და ნათლობაზე.

ამას გარდა, ხალხში მაზე ათასი ჭორი ხმები დადის, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს. განა ასეთი მღვდლები ცოტა ჩვენში?

ეხლა ადმინისტრაციის ზოგიერთ მოხელეებს არ იკითხავთ? ბევრ სოფლებში შეხვდებით ამ „მოძე მწყრალებს“, რომლებიც ძველი მთავრობის დროს ხალხის ნამდვილი მტრები იყვნენ. მათი ძველ ადგილებზე დატოვება პირდაპირ დანაშაულია რევოლუციის წინაშე.

საჭიროა ადრევე მიექცეს ამას ყურადღება. დასკვნა: მეტი ყურადღება ჩვენი გლეხ-კაცობაკენ, მეტი კულტურული მუშაობა სოფლად, განსაკუთრებით ისეთ სოფლებში, რომლებიც ჩამორჩენილია.

ხან. ქიშვარდიშვილი.

პროვინციის ცხოვრება

ხაშური. წუხელ ღინჯალ, დაგვირგვინით მოიქმედ ქართლის დღესაც დაუვიწყარი თავისი გრძნობელობა. ხაშურის დემოკრატიამ დღესაც გამოიჩინა თავისი ძლევა-მოსილება და მწყობრათ, ერთსულოვნათ ს. დემოკრატიის დროშის ქვეშ მოეყარა თავი.

ხაშურში, თავის ძალას—დემოკრატიის, საერთო მოხმილიზავეა უყო და როგორც ყოველთვის, იმედები გაამართლა.

არჩევნებში გამოვიდა სამი პარტია: ს. დ., ს. რ. და ს. ფ.

ჩვენმა ამხანაგებმა არჩევნებისთვის ერთი კვირით წინ დაიწყეს მზადება.

22 ოქტომბერს მოიხდინეს პარტიული მიტინგი. აქ ამხანაგებმა გაიწვიეს ფართო აგიტაცია: შეეხნენ განსაკუთრებით საქალაქო არჩევნებს, დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას, დაასრულეს მოუწოდებდნენ დამსწრეთ ხმა მიეცათ ს. დემოკრატიის სიას № 1. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

მთელი კვირის განმავლობაში შეეხვიეს და ფუცხ-ფუცხე.

არ ჩანან სხვა პარტიები გარდა ესერებისა.

ჩვენს პარტიულ კლუბში განუწყვეტლივ მუშაობენ.

მუშა, ინტელიგენტი, დიდი, პატარა ყველა საქმიანობს, ყველგან აღტაცება და სიხარული ეტყობა სახეზე.

ახალგაზრდობა გადაუღლელებით დილის სახლებში და არიგებენ კონვერტებს, ნიშნებს.

ყველა დილა სიხარულით აპრულებს ნაკისრ მოვალეობას.

არჩევნების წინა დღით ყველა პარტიები აფიშებდენ.

ჩვენმა ამხანაგებმა დემონსტრაცია მოახდინეს.

თავისუფლების სურათს წარმოადგენდა ეს სანახაობა. დილით ადრე ზღვა ხალხი წითელი დროშებით და მუსიკით გაემგზავრა დიდი ქუჩისაკენ. აქ შეხვდნენ მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხობას. ამხანაგები მხურვალე სიტყვებით მოუწოდებდნენ მოქალაქეთ ხმა მიეცათ, დემოკრატიის სიის № 1-ს.

მწყობრათ დარაზმული დემონსტრანტები გაემართენ სოფ. ქვემო და ცხრა მუხისაკენ. აქაც იმეორებენ ჩვენმა ორატორებმა. სადგურის დემონსტრანტები გაემართენ პარტ. კლუბისაკენ. მუსიკა განუწყვეტლივ უკრავს სარევოლუციო ჰიმნს. ტრიბუნაზე ადის ნ. იმნაიშვილი, რომელმაც აცნო მამაცურ ხალხს: ჩვენი ზვავივით გამარჯვება უზრუნველყოფილია. ხალხმა წინასწარ დაადასტურა თავისი ნდობა. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზვავივით არჩევნებში უეჭველი გამარჯვებით. მაგრამ ეს მარტო სიხარულის და სიამოვნების გრძნობას არ უნდა იწვევდეს ჩვენში. ჩვენ

გვირჩევენ სანდომით კი არა, სამუშაოთ და ფრიად საპასუხისმგებლო პოსტზე. ჩვენ უნდა გავამართლოთ მასის ნდობა. პარტიის არჩეულებმა უპირველეს უნდა გააკეთონ ის, რასაც ხალხი მისგან მოელის.

მაშ, მე მოგაწოდებთ თქვენ, მტკიცე კავშირით შემოერტყათ თქვენსავე არჩეულთ, რომ პირნათლად შეასრულონ მათ თავისანთი მოვალეობა...

ხალხი ტაშის ცემით შეხვდა მის სიტყვებს. ყველას სახეზე საერთო სიხარული, საერთო აღფრთოვანება ეხატება. ყველა ერთხმად გაიძახის „გაუმარჯოს სოც.-დემოკრატიას და მის სიას № 1“.

ცეკვები და ცეკვები დაღონებული გამოიყურებიან. სჩანს, დაუკარგავთ ბრძოლის უნარი. იდეამარცხეს სხვა ამხანაგებმაც.

შემდეგ ხალხი ნელ ნელა მშვიდობიანად დაიშალა.

29 ოქტომბერია. დღე არჩევნებისა. მშვენიერი დარი დგას. ქუჩებში განუწყვეტელი მოძრაობაა. საარჩევნო ყუთთან ხალხი თანდათან გროვდება. ხალხი რამდენიმე რიგათაა დაყოფილი. განსაკუთრებით მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში ქალებმა. ქუჩებში აგიტაცია ჩაღდება. ხალხი მათ გვერდით თავს იყრის და ხელს განაწილებულ უსმენს.

ხაშურის ქუჩები ფედერალისტების ფურცლებით აივსო.

ფედერალისტებმა არჩევნებში შესაფერი „საქმიანობა“ გამოიჩინეს. პირდაპირ ბრძოლით რომ ვერაფერი გააწყვეს პროვოკაციულ ხრიკებს მიყვეს ხელი.

ფედერალების ყოფილისა, გამოუშვეს უსახელო ფურცლები, სადაც მოუწოდებდნენ მოქალაქეთ ხმა მიეცათ № 6. ზოგი ფედერალისტები ილაპარაკეს არიგებდნენ კონვერტებს და თავიანთ ნომერს აჩვენებდნენ ხალხს. ამას გვემიცვლელებს მაგალითად შემდეგი ფაქტი: ვილაც ქალი მერიხაშვილისაგან წაურთმევიათ კონვერტი, რომელშიდაც ყოფილა № 1 და იმის მაგიერ მიუციათ ახალი კონვერტი № 6. ის საარჩევნო მოვიდა ადმინისტრაციულ კომიტეტში და განაცხადა ყოველივე მომხდარი. აგრეთვე გამოაშკარავდა მრავალი მოქმედება ხაშურში კარგათ ცნობილი მღვდელი კვლივიშვილისა, რომელიც სამ სამ მანეთს აძლევდა თითო კონვერტის № 6 წაღებით. მაგრამ ასეთი მათი მოქმედება რა გასაკვირველია!

არც ს.-რევოლუციონერები ჩამორჩნენ ფედერალისტებს. ზოგიერთი მათი „ნელორისტ-ლები“. აშკარა პროვოკაციას ეწეოდნენ რუსებში. „ს.-რევოლუციონერები ეს რუსების პარტიაა და თქვენც, როგორც რუსები, № 3 უნდა მისცეთ ხმაო“ და სხ. ზოგიერთები იმისათვის, რომ საარჩევნო კომისიისათვის ერთი ყუთი იყო, რომელიც დილით დაიხურა ... ჩხრეკების ხმის მიცემა; მაგრამ იმისა, რომ ჩამწერლებმა ჩვენი მომხრეთა დიდი ნაწილი ვერ გამოცხადდა, (ზოგი მუშები და მოსამსახურეები სამუშაოთ იყვნენ წასული) 20 ხმოსანში ჩვენ მაინც 16 გავიყვანეთ. ესერებმა 3 ხმოსანი და ჩვენმა ფედერალისტებმა კი, რომლებიც ასე დიდი ფრთაშლილი იყო გამოსულნი ერთი ხმოსანს გაიყვანეს კი გაუჭირდათ. ამრიგად ხაშურის დემოკრატიამ კიდევ დაუმტკიცა თავისი ერთგულება სოციალ-დემოკრატიას და არჩევნები ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა.

ვარ. მაჩვლი.

ექიმი
დ. ი. [illegible]
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ სნეულებებით, [illegible] სისხლ ნაკლულობა, [illegible] 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისა
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღას ქ. № 22.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

ექიმი
გ. დონხიძე
[illegible]
[illegible] დღ. დრო. სახ

ექიმი შ. გ. ვეფხვაძ
მოსკოვის უნივერსიტეტის ვენერიული [illegible] ნამყოფი იღებს ავად[illegible] კანისა და ვენერიულ სნეულებებით დილის 8 — 5 ნახ. საათამდე, [illegible] პიროგოვის, რომელის ქუჩა, [illegible]

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილა
დეზინფექცია ავადმყოფებს ყოველ-დღე 4—6 საათამდე. [illegible] მიხეილის შესახვევი, [illegible] ქუჩა, № 4

ექიმი გ. გ. მუხაძ
იღებს სალონტაქტო ავადმყოფთ 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. [illegible] ქუჩა № 67; [illegible] სახ. შინაგან პირდაპირ [illegible] ტელეფონი № 5—77

ექიმი კ ი მჭედლ
შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე 5—8 ს. კვირა დღის გარდა. [illegible] ქუჩა, № 4, [illegible] ტელეფონი. 15—00.

მედიცინის დოქტორი
ვ. ვ. მეგრაბიანც
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა დიდი სალამბოური არისტოკრატის ქუჩის, გულის და სხვა შინაგანი [illegible]. ყოველდღე დილის 9— საღამოს 6—8-მდე. მიღებული [illegible] ტელეფონი 7—92.

მეურნეთა საყურადღებოთ

ბათუმის სამეურნეო საზოგადოების მონდობილობით ვაცხადებთ, რომ ამ [illegible] რომლიდან დაიწყო გაყიდვა ხილის და სხვა მცენარეების ნერგებისა ბათუმის საზოგადოების სანერგედან. სანერგე იმყოფება ბათუმის ახლო, [illegible] ტებს და ხილებს, თუ ფასი 1000 [illegible] მეტი, ეძლევათ 10% ხეიოკა. ნერგების ფასი შეიძლება სეზონის მიხედვით, [illegible] სამეურნეოდ მცენარეების ნერგები: მანდარინები 1—2—3 [illegible] ლიმონები, [illegible] და სხვა. დაწვრილებითი პირობების გაგება შე[illegible] მისამართით: г. Батумъ, Общество Сельскаго Хозяйства, Шенелевска
2—2 სანერგეს გამგ

მოქალაქენო!

მინისტრის კანონის ძალით 5 აგვისტოს 1917 წლისა, თბილისის ქალაქის [illegible] განა, დაარსების თავდებში ექვსი (6) მოსამართლეს [illegible] მოსამართლე უბანში.

კანდიდატები თავმჯდომარეების და მათი მოადგილეებს არჩევს კანონის ძ[illegible] სახელით, რის მიხედვითაც თბილისის ქალაქის საბჭოს თავის სხდომაზე 16 [illegible] რაიონ ექვსი კანდიდატს თავმჯდომარეს და მათი მოადგილეებს.

კანდიდატების წარმომადგენლობის თანახმად, ვ. ი. მდივნები და [illegible] ნათი არჩევენ კანდიდატისთვის თანახმად რიგებში თავიანთ წარმომადგენლებისა, რაში არჩეულ უნდა იქმნენ 24 წევრი; ამათგან 12 მდივნისა და 12 სახ[illegible] წარმომადგენელნი.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყოველ მოქალაქეს განურჩ[illegible] ვისაც კი ჰქონდა ხმა საქალაქო არჩევნებში.

ყოველ ორ მაზრიდან ერთ სამრევლო უბანში მოწვეულ იქმნება თი[illegible] დის პატრონებისა და თითო მდივნისა.

კრებები ყველასათვის დანიშნულია კვირას, 5 ნოემბრის დილის 11 საა[illegible]

ადგილები ხალხის პატრონთა კრებებისათვის.

1—2 უბ.—[illegible] არტისტიული საზოგადოებისა,
5—8 უბ.—კომერციული სასწავლებელი, 19 თებერვლის ქუჩაზე[illegible]
6—7 უბ.—მე-5-ე ვაჟების გიმნაზია, პეტრე-პავლეს ქუჩაზე.
11 12 უბ.—მუშტაიდის ბაღში.

ადგილები მდივნების და თითო ოთახის მოქირავეთა [illegible]

2—3 უბ.—მე 3 ე ვაჟების გიმნაზია, ლერმონტოვის ქ[illegible]
5—8 უბ.—სახელოსნო სასწავლებელი, ვეზირის მ[illegible]
6—7 უბ.—ველამბის ძლუბი, კახეთის მოედან[illegible]
11 12 უბ.—ნ ძველ ვაჟის იედტრო.

რომლებიც უნდა ადმინისტრაციის დასწრებით [illegible]

2—1